საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდიღებით და ჯიბრებით ბუტთის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 15 მარტი. 2016 წ. №47 (7939), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პოლიტიკური მეძავებითა და კახპა ჟურნალისტებით გულშელოლნებული ქვეყანა

ავანტიურა და მორალური წნეხი

„წინა ხელისუფლება ცნობილი იყო დაუნდობლობით, არა მხოლოდ თავისი მტრების მიმართ, არამედ თავიანთი მხარდამჭერების მიმართაც. არ გამიკვირდება მომავალში, ნებისმიერ ადამიანზე გამოჩნდეს ვიდეომასალა“, — ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ლორთქიფანიძე, რომელიც გულუბრყვილოდ ამტკიცებს, რომ მოქმედი ხელისუფლების ინტერესებში ფარული ვიდეომასალის გავრცელება არ შედის. „სახელმწიფო სამსახურები თავის თავს უნდა გადაახტნენ, რათა საქმე გამოიძიონ. ამასთან, მოქმედი ხელისუფლების ხელი ამ ფაქტის გავრცელებასთან ნულოვანია! — ამტკიცებს პარლამენტარი. იმავე აზრზე არიან ექსპერტები. მათ შორის, მამუკა არეშიძე, რომელიც მიუთითებს, რომ „ამის გამოქვეყნება აწყობდა ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ქვეყანაში სიტუაციის არევასა და ხელისუფლების დისკრედიტაციას ცდილობს“.

ხმაურისა და იეფორიის პარალელურად, უმრავლესობის წევრები არ გამორიცხავენ, რომ ასეთი შანტაჟის მოწმე საზოგადოება შეიძლება კიდევ გახდეს, თანაც, არავის არა აქვს იმის გარანტია, რომ მოქმედი ხელისუფლების წევრებზე არ დაიდება კომპრომატები. ვიდეოფაილების დიდი ნაწილი განადგურებულია, მაგრამ „მეგის ფიქჩერს პროდაქშენს“ საკმაოდ სოლიდური ნაწილი აქვს გატანილი ქვეყნის გარეთ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, სამართალდამცველთა ძალისხმევის მიუხედავად, ყველა მცდელობა — ხელი შეუშალონ კადრების გავრცელებას, არ იქნება ეფექტიანი. „ყოვლისმცოდნე ჟურნალისტი“ ელისო კილაძე აანონსებს, რომ შემდეგი სამიზნე ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მან ეს საიდან იცის — ცხადია, კითხვა უადგილოა(!).

ზოგადად რასთან გვაქვს საქმე? — რატომ მაინცდამაინც ალასანიას გუნდის წევრზე დადეს კომპრომატები? მით უფრო, რომ ამ კადრების ამბავი ადრეც ფარულად ყველამ იცოდა და როგორც ითქვა, ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილიც კი ყოფილა ინფორმირებული. „შავი ავაზა“ მაშინდელმა პრემიერმა არ გააშავა და მშვიდად გააცილა პოლიტიკურ ველზე, თუმცა, ირაკლი ალასანიას რატომ აძლევს ხელს იმის მტკიცება, რომ ამ კადრების გადაღება-შენახვაში ივანიშვილის ხელი ურევია?! ნუთუ ის ვერ ამჩნევს, რომ ამ თამაშში თანდათანობით ნაციონალების მარიონეტი ხდება?! არადა, ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი სწორად შენიშნავს, რომ, თუ ვინმეს უნდა „ალასანიას გაშავება“ ეს ისევ ნაციონალური მოძრაობაა. **„სამწუხაროდ, ალასანიასგან განსხვავებით ნაციონალებმა კარგად აუღეს ალღო კოალიციიდან გამოსული ალასანიას ხიფათს მათი ელექტორატისთვის და ყველა პიარ-ტექნოლოგიის ჩართვით დაიწყეს მისი განადგურება... კადრები ინტერნეტში ვინ დადო, ამაში თუ ეჭვი ეპარება ალასანიას, ის მაინც ხომ ზუსტად იცის, ვინ გადაიღო?! იწყებენ შეთანხმებულად, პარტიის სახეებთან ერთად ივანიშვილის ლანძღვას, ხოლო ქარდავებზე და სააკაშვილზე ერთ აუგს ვერ დააცდენინებ.**

იხ. 2 გვ.

ღია წერილი პრემიერ-მინისტრს

მიწის მართვა სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა!

4 5

როცა სისუფთავეზე ლაპარაკს მართლაც ოთახის გამოგვა სჯობს!

5

„ვემსახურები საქართველოს!“: ქალები ავღანეთში

9

7

კავკასიური ისლამი და საქართველო

კავკასიური ისლამი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც მას სხვა ისლამისგან განასხვავებს. ეს არის კავკასიური ადათი და ამ ადათს ისლამში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ ასეთ ისლამს ვუწოდებთ ტრადიციულს. ტრადიციული ისლამის მნიშვნელობა კავკასიის სულიერი ცხოვრებისთვის ძალიან დიდია. ტრადიციულ ისლამს სხვა რელიგიებთან თანაცხოვრების უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ამასთან, მასა და ქრისტიანული ცხოვრების წესს შორის გარკვეულწილად მონათესავე მიდგომები არსებობს.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პოლიტიკური მეძავებითა და კახპა ჟურნალისტებით გულშეღონებული ქვეყანა

ავანტიურა და მორალური ღნეული

(პირველი გვერდიდან)

ირაკლი აშკარად აგებს თამაშს!“ მართლაც, როცა იციან „თავისუფალმა დემოკრატებმა“, რომ ჯერ კიდევ აქვთ რაღაცის შანსი არჩევნებზე და ამ პოზიციით ნაციონალებს ეჯიბრებიან, ნამდვილად არ არის გონივრული პოლიტიკური სვლა — ივანიშვილის ორხმაში ლანძღვა. მით უფრო იმ დროს, როცა, წესით ხმა არ ამოგეღება.

თუმცაღა, პოლიტიკურ მეძავებს, ნაცებსა და იმათ აშკარა მარიონეტ ირაკლი ალასანიას, კარგა ხანია, ზნეობა და მორალი დაკარგული აქვთ!

თუ ცნობილ ტელესახეს, სხვათაშორის ყოფილ „რუსთავიორელ“ ბაკურ სვანიძეს დავეთანხმებით, **„ახლა საქმე გვაქვს არა უბრალოდ „პირად ცხოვრებასთან“, არამედ უზნეო პირად ცხოვრებასთან“.** მას მაგალითად მოჰყავს სხვა ქვეყნის ანალოგიები, როცა პოლიტიკოს მამაკაცებს (სავარაუდოდ, ბილ კლინტონს გულისხმობს) გაუვრცელეს კადრები და ბრალი დასდეს უზნეო ცხოვრებაში... **„გყავთ ცოლი, ოჯახი და რატომ ერთობოდით სხვა ქალთანო... რამდენიმე წლის წინათ ვილაც ჰომოსექსუალს გაუვრცელეს კადრები. იმ ტიპს ცოლი არ ჰყავდა... არ მესმის, კადრების გამავრცელებლის მკაცრად დასჯასთან ერთად, ამაზეც რატომ არ უნდა გამახვილდეს ყურადღება, — თუკი ასეთი საქციელის ჩამდენ მამაკაცს საზოგადოება აღარ აძლევს უფლებას, იყოს გარკვეულ თანამდებობაზე — იგივე მიდგომა რატომ არა აქვთ ქალის მიმართ?!“** — იკითხავს სვანიძე.

თუ დავფიქრდებით, კითხვა სავსებით ლოგიკურია. საზოგადოებას პოლიტიკა არ აშენებს, არამედ მას კრავს და ამთლიანებს მორალი. პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მაგრამ, ალბათ, პოლიტიკაში სამოქმედოდ მოსულმა ადამიანებმა, განსაკუთრებით უნდა იზრუნონ საკუთარ იმიჯზე, საკუთარ სახეზე, რადგან ნებსით თუ უნებლიეთ, პოლიტიკისგან არ არის განყენებული მათი მორალი და ქცევის წესები!!!

ჩვენ კი რასთან გვაქვს საქმე? — სრული კაკაფონია, აჯაფსანდალი, მარაზმი... და ამ ფონზე ლამის დემონსტრაციულად დარაზმული ნაციონალები, რომლებიც კადრების გავრცელებას აპროტესტებენ!!! რატომ ცა და მიწა არ იწვის სირცხვილით?! და ვინ დაუდო დასაბამი ამ სამარცხვინო საქმეს, ვინ დაიწყო ფაილების შენახვა და გამრავლება, ვინ დაიწყო შანტაჟი? იმის მაგივრად, რომ საკუთარი უსახურობის გამო იხდიდნენ ბოდიშს, კიდევ რიხითა და გონორით მოძღვრავენ ხელისუფლებას, ან რა სინდისით მოუწოდებს ნაციონალი გივი თარგამაძე საზოგადოებას: **„მეგობრებო, დაბეჯითებით გირჩევთ, ნურავის სიძულვილით ნუ დაელოდებით ვიდეოებს. ამით ამ ავადმყოფის (იგულისხმება ივანიშვილი) თამაშში ჩაერთვებით!“**

...და ის რა იყო, თქვე ცოდვის შვილებო, როცა ათასობით ადამიანის ლოგინში იჭვრიტებოდით, ასობით პატიმარს ცხოვრებას უმახინჯებდით, პირადი ცხოვრებით მანიპულირებდით?!

ვერ გეტყვით, რაზეა აგებული ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, მაგრამ როცა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას ხმა, როგორც პათეტიკური მოწოდება, „ბრავოს“ იმსახურებს, ძნელია მაღალ იდეალებსა და ზნეობრიობაზე ლაპარაკი: **„დიახ, მე მყავს არაჩვეულებრივი შეყვარებული და მაქვს სექსი!!! არ ვაპირებ შანტაჟით დავტოვო ქვეყანა!!! თავს შევაკლავ ამ ბრძოლას!!! — საჯაროდ გამოვიდა პირდაპირი ეთერით ქალბატონი ინგა. და მაინც ვერ გავიგე, რისთვის იბრძვის!**

არ დააყოვნა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც ქვეყანას სიამაყით გაუმხილა ინტიმური დეტალები: **„სექსი და სექსუალური ცხოვრება არ არის სამარცხვინო, მე მაქვს, მქონდა და მექნება მდიდარი სექსუალური ცხოვრება!!!“** ვიცით, ბატონო პრეზიდენტო, რისთვისაც ქორწინდებიან წყვილები, მაგრამ აქ საუბარია უზნეო ცხოვრებაზე, როცა იმას აქვს მნიშვნელობა, ვისთან გაქვს სექსი!!! და მეორე... ნუთუ პირდაპირი ეთერი იმისთვის არის ამ ქვეყანაში, რომ ხმამაღლა ვიძახოთ: გვაქვს თუ არა სექსი!!!

ალბათ, ყოველგვარ სერიოზულობას გასცდა უკვე ფარული მიყურადებისა და მოსმენების სკანდალი... ფეისბუქის მომხმარებლის ერთი საინტერესო შარჟით მინდა დავამთავრო: **„მეგონა, ბიძინა 10 საათზე იძინებდა. თურმე ამ დროს დგება, წყვდიადში უჩინარდება და წყვილებს უჭვრიტინებს“.** ვინმეს გჯერათ ამ სისულელის, ან იმის, რაც ამ ბოლო დროს გესმით... ნანუკა ჟორჟოლიანმა ამოიკვნესა, მძიმე ორშაბათი გაგვითენდა და კიდევ უფრო მძიმე კვირა გველოდებაო... ნეტა იმას, ვისაც ჩრდილოვანი ცხოვრება აქვს, თორემ საზოგადოებას ამაზე უარესი აქვს ნანახი და გაგონილი.

მაინც რა ეშველება ამ პოლიტიკური მეძავებით და ჟურნალისტი კახპებით სავსე ქვეყანას?

ისევ და ისევ შესანატრი მოთმინებისა და შენდობის ნიჭით დაჯილდოებული ბიძინა ივანიშვილის და არც თუ ისე მცირე მისი მხარდამჭერი თანაგუნდელების იმედი უნდა გვქონდეს...

საქართველოს პატრიარქი და მისი მრევლიც ხომ სიწმინდის, სიკეთისა და პატიოსნების მხარეზეა!

თეა მოსია

◎ კაკალ გულში

გოგი თოფაძე - კაცი კონსტიტუცია!

● ხალხო, რა გვჭირს, საქართველოს მოსახლეობის 80% ბანკების ვალებში იხრჩობა და მთელი სოციალურად აქტიური საზოგადოება ვიღაცების პირად ცხოვრებაზე ღელავს!

რაში მაინტერესებს აქვს თუ არა ინგა გრიგოლიას სექსი ან ჯულიეტოვნაა ზემოდან თუ გვარამია?

არც ის არ მესმის, სექსუალური ცხოვრების საჯაროდ გამოტანით, ანუ იმ განცხადებებით, რომ სექსი მაქვსო, საკუთარი თავისუფლების და სიმამაცის ხარისხის საჩვენებლად, რაღაც ქულების ჩაწერას, რომ ცდილობენ.

სექსით პოპულარობა კარგია, თუ ამ საქმით ხარ დაკავებული, ანუ მუშაობ შესაბამის დაწესებულებაში. სხვა შემთხვევაში მაგარი @@@-ობაა!!!

● ვარ ნატურალური, თეთრკანიანი, ქართველი, მემარცხენე, ქრისტიანი, ანტიამერიკელი და თანაც თბილისელი, ანუ ვერცერთ იმ მოთხოვნას ვერ ვაკმაყოფილებ, რომ ვიარსებო მაინც თანამედროვე „წარმატებული საზოგადოების“ პერიფერიაშიც კი და, მაინც ვარსებობ!!!

● რა უაზრო დღეა. არც ჯაჭვი გაბმულა, არც წითელტრიკოიან ქეთათოს უმღერია, არც ვინმე ცნობადი სახე უცემიათ, თოფაძეც ჩუმადაა და რესპუბლიკელებიც. ეს გუგული ხომ სულ დაიკარგა.

გამოცოცხლდით, ხალხო, გამოცოცხლდით!!!!!

● ნულარ წვალობთ შესწორებებზე, პირდაპირ თოფაძე შეიტანეთ კონსტიტუციაში, მაინც რასაც ხალხი ფიქრობს, იმას ლაპარაკობს კაცი და ბარემ ეგ იყოს საქართველოს კონსტიტუცია!!!

ასე მოვიხსენიოთ: გოგი თოფაძე — კაცი კონსტიტუცია!!!

● ახალი ქართულ-ევროპული ნარატივი:

„ღვინო, დუდუკი, გეები“.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ექსპორტი

როცა შემოტანას გაჭანა სჯობს

ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი, არა თუ არ იზრდება, იკლებს კიდეც. ბოლო დროს მნიშვნელოვანი ვარდნა თავდაპირველად შარშან წლის დასაწყისში დადგინდა, როცა ექსპორტმა 26 პროცენტით იკლო. მთლიანად კი წლის მანძილზე, ექსპორტზე გადატანილი სამამულო პროდუქციის ღირებულებამ 2,2 მილიარდ დოლარს ოდნავ გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად — 23 პროცენტით ნაკლებია. ყველაზე არასასიხარულო გარემოება კი ის გახლავთ, რომ ეს უარყოფითი ტენდენცია წლეულსაც გრძელდება, თუმცა კი აღინიშნება მისი აბსოლუტური მნიშვნელობის კლებაც.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ეროვნული ეკონომიკის მსოფლიოს ეკონომიკაში ნაკლებად ინტეგრირების მიუხედავად, წინა წლების გლობალურმა კრიზისმა საქართველოს სამეწარმეო ძალების, სოფლის მეურნეობის, მრავალ სხვა სფეროზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. სერიოზული შეფერხებებია უახლოესი სამეზობლოს, მთლიანად რეგიონის ქვეყნებში, რომლებიც ჩვენი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორები არიან, რაც ჩვენს საგარეო ვაჭრობაზეც ცუდად აისახა და როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მოცულობაზეც იმოქმედა.

რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების, შესაბამისად, იქ საექსპორტო საქონლის მოცულობის შემცირებაზე უაღრესად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის, დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტების გაუფასურება. კერძოდ, ჩვენს ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში სადღეისოდ ასეთი ვითარებაა: **რუსეთული რუბლის კურსი დაახლოებით 65 პროცენტითაა შემცირებული, აზერბაიჯანული მანათის — 50 პროცენტით, თურქული ლირის — 20 პროცენტით.**

ისიც უნდა ითქვას, რომ როცა საქართველოდან საექსპორტოდ გატანილი პროდუქციის შემცირებაზე გვაქვს საუბარი, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი მისი შემადგენლობა. წლების მანძილზე ექსპორტზე გატანილი საქონლის ნუსხაში ერთ-ერთი წამყვანი ჯგუფი **მსუბუქი ავტომანქანების** რეექსპორტი იყო. ამის თაობაზე ადრეც არაერთხელ გვქონია საუბარი, რომ მათი გასაღების ბაზარი, ძირითადად, აზერბაიჯანი და სომხეთი გახლდათ, სადაც შარშან ეგრეთ წოდებული ევრო-4 სტანდარტი შემოიღეს, რომლის შესაბამისად, გარკვეული წლოვანების მეტი ხნის მანქანების ამ ქვეყნებში შეტანა და ექსპლუატაცია აიკრძალა. ამდენად, ეს ბაზრები მიუწვდომები გახდა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ არასახარბიელო შედეგის ფონზე, რომელსაც ექსპორტის შემცირება ქმნის, მართალია, ძალიან **მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტზე გატანილი პროდუქციის მოცულობა, რამაც შარშან 22,3 მილიონი დოლარი შეადგინა, ეს კი, 2014 წლის ასევე დიდად არასახარბიელო მაჩვენებელთან შედარებით. 3,45-პროცენტიანი მატებაა.** ამაში, ცხადია, თავისი დადებითი როლი შეასრულა არც თუ დიდი ხნის წინათ ძალაში შესულმა საყოველთაოდ ცნობილმა ევროკავშირის ქვეყნებთან ყოვლისმომცველმა თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედებამ, რამაც სამამულო მეწარმეთათვის გააქტიურების კარგი სტიმული შექმნა და, მართალია, რამდენადმე მორიდებული, მაგრამ მაინც დადებითი შედეგი გამოიღო, რა ტენდენციაც, იმედია, თანდათანობით გაძლიერდება.

საქსტატის მონაცემებით, წლეულს, **იანვარში საქართველოს სავაჭრო ბალანსის (ექსპორტ-იმპორტის შეფარდების) მაჩვენებელმა 283 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 99,2 მილიონი დოლარით ნაკლებია ანალოგიური პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელზე,** რაც თავისთავად დადებითი გარემოებაა, რომელიც ლარის გამყარებისთვისაც არის მნიშვნელოვანი.

ექსპერტები ასევე ყურადღებას ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საგარეო ფაქტორზე ამახვილებენ, რამაც შესაძლოა, საქართველოს ექსპორტს, უწინარესად, სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რუსეთის ბაზარზე მეტი შესაძლებლობები შეუქმნას. ესაა მის მიერ თურქეთისთვის სანქციების დაწესება, რის გათვალისწინებით აუცილებელია გონივრული სავაჭრო პოლიტიკის გატარება.

ოთარ ტურაბელიძე

რუსეთმა ჩვენს სუვერენიტეტს პატივი უნდა სცეს

გერმანულენოვანი გამოცემა „**Spiegel online**“ აქვეყნებს ინტერვიუს საქართველოს პრემიერ-მინისტრ **გიორგი კვირიკაშვილთან**, რომელიც მას ჟურნალისტმა **მარკუს ბეკერმა** ჩამოართვა.

48 წლის გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრად 2015 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა, მანამდე ჯერ ეკონომიკის, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა. სპეციალობა — მედიკოსი და და ეკონომისტი. გარდა ამისა, მან ეკონომიკის ცოდნა აშშ-შიც გაიღრმავა. გიორგი კვირიკაშვილის მიზანია საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრება (რასაც შეიძლება რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება მოჰყვეს).

დასავლეთში როცა რუსეთზე ლაპარაკს იწყებენ, უმეტესად საუბრობენ ხოლმე მოსკოვის აგრესიულ მოქმედებაზე უკრაინასა და სირიაში. 2008 წლის ზაფხულში მომხდარი საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომი ცოტას თუ ახსენდება, თუმცა სწორედ მაშინ შეიქმნა ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის მოდელები: რუსეთმა ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მაგრამ ოფიციალურ ანექსიაზე არავინ ლაპარაკობს. ამ ნაბიჯების უკან მოსკოვის სტრატეგია მოჩანს, რომელიც გავლენის სფეროს შენარჩუნება-გაფართოებას ითვალისწინებს. საქართველო ნატოსა და ევროკავშირისაკენ ისწრაფვის, რაც 2008 წლის ომის მიზეზებად ითვლება.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთთან კონფლიქტი უკვე მიბჟუტულ-მინავლებულია, საქართველოს პერსპექტივა მაინც ნათლად გარკვეული არ არის: ნატო პრინციპულად არ ღებულობს მოუგვარებელი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოს, რადგან ბრიუსელს რუსეთთან დაპირისპირების ესკალაცია არ სურს. გარდა ამისა, ევროკავშირი სკეპტიკურადაა განწყობილი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიმართ, მათი არასოლიდარული მოქმედების გამო (ახლო აღმოსავლელი ლტოლვილებისა და ეროვნული მოძრაობის მიმართ.

„შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განმარტავს, თუ რატომ სურს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრება და როგორ უნდა წაიყვანოს მან საქართველო დასავლური კურსით.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ გინდათ, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში გააწევრიანოთ. რატომაა ეს მნიშვნელოვანი თქვენი ქვეყნისათვის?

— კულტურის თვალსაზრისით საქართველოს ყოველთვის ევროპული ქვეყანა იყო. ევროპა საქართველოსთვის სახლია. გარდა ამისა, საქართველო, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარეობს, ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. ირანისათვის სანქციების მოხსნა კი ევროპისა და საქართველოსთვის ახალ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს აჩენს.

— ლტოლვილებთან დაკავშირებით შექმნილ კრიზისში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავიანთი დასავლელი პარტნიორებისადმი მაინცდამაინც დიდი სოლიდარობა არ გამოუჩენიათ, არადა, ისინი კარგად სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში (შენგენის ზონაში) თავისუფალი გადაადგილების უფლებით. ამასთან ერთად, ბევრი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ ევროპისათვის ევროკავშირი უმეტესად მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის ზონითაა საინტერესო, უფრო ნაკლებად კი — საერთო ფასეულობებით. მაშ, რატომ უნდა მიიღოს დასავლეთმა კიდევ ერთი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა ევროკავშირში?

— მე სწორედ ამიტომ ვუსვამ ხაზს საქართველოსა და ევროპას შორის არსებულ ისტორიულ კულტურულ კავშირებს. მსოფლიო ბანკი (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი) ადასტურებს საქართველოს მიღწევებს აზრის თავისუფლად გამოხატვის, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების სფეროში, ადასტურებს სტაბილურობასა და კანონმდებლობის მაღალ დონეს. გაეროს მოხსენებაც ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე იგივე დადებით ტენდენციას გამოხატავს. ეს გვაძლევს იმის თქმის ნებას, რომ ჩვენ ევროპას უპირველესად ფასეულობების საფუძველზე ვუახლოვდებით.

— მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ (რომელსაც თქვენც მიეკუთვნებით) 2012 წელს საპარლამენტი არჩევნებში გაიმარჯვა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ სასამართლო პროცესები დაიწყო. კრიტიკოსებმა ეს „ჭინკებზე ნადირობად“ მონათლეს...

— წინა ხელისუფლების დროს ადამიანის უფლებების დაცვის დონე სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. საპყრობილეები 300 ათასმა ადამიანმა გამოიარა ოთხმილიონიან ქვეყანაში. დღევანდელ მთავრობას ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკების მიმართ აღძრული საქმეების გამო აკრიტიკებენ. მე პირადად არ მიხარია, რომ ადამიანი გისოსებში იჯდეს, მაგრამ სახელმწიფოში კანონის უზენაესობა უნდა ბატონობდეს.

— ამას წინათ ბრიუსელში თქვენი ყოფნის დროს ევროსაბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოში სისხლის სამართლებრივი დევნა „მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს, გამჭვირვალე და ობიექტური უნდა იყოსო“. სამართლებრივ სახელმწიფოში ეს თავისთავად იგულისხმება...

— მე დონალდ ტუსკის ნათქვამი კრიტიკად კი არ აღვიქვი, არამედ ჩვენი პარტნიორის სურვილად — პარტნიორისა, რომელიც სერიოზულად უყურებს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესს. ვფიქრობ, ჩვენს პარტნიორებს თავისუფლად შეუძლიათ დარწმუნდნენ იმაში, თუ როგორი ტენდენციაა, საით და როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. ჩვენ იდეალურები არა ვართ, მაგრამ სიტუაციის მუდმივი გაუმჯობესების პროცესი აშკარაა.

— საქართველოს ნატოში გაწევრება სურს, თუმცა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს თავის რიგებში მოუგვარებელი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოს მიღება არ შეუძლია — 2008 წლის კავკასიური ომის დროს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა და იქ სამხედრო ბაზები შექმნა. ამიტომაც საფრანგეთს და გერმანიას სრული უფლება აქვთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებაზე უარი გამოუცხადონ...

— მართალს ბრძანებთ, რომ საქართველო თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს ვერ აკონტროლებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ნატოში გაწევრიანებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ნატოში ჩვენი მიღებისათვის ალიანსის ყველა წევრის აუცილებელი თანხმობაა საჭირო და ვიცით, რომ რამდენიმე წინააღმდეგია, თუმცა ჩვენ ალიანსთან თანამშრომლობას მაინც ვაგრძელებთ. ნატოს სრულფასოვანი წევრობა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზანია.

— განა ეს რუსეთთან ურთიერთობაში დამატებით სიძნელეებს არ შეგიქმნით?

— არა მგონია, ჩვენი ნატოში გაწევრების სწრაფვა რუსი პოლიტიკოსების მიერ მტრულ მოქმედებად იქნეს განხილული. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი სტაბილური იყოს. ნატოში გაწევრება სწორედ სტაბილურობისთვის გვჭირდება და არა მტრობისა და სამხედრო მოქმედებებისათვის. რუსეთი და საქართველო ასწლეულების განმავლობაში ერთმანეთის მეზობლები ვართ, ჩვენ შევძლებთ ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამასთან, რუსეთმა პატივი უნდა სცეს ჩვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. გარდა ამისა, სუვერენიტეტი იმასაც ნიშნავს, საქართველოს აქვს არჩევანის უფლება, შეუერთდეს და გაწევრდეს მისთვის სასურველ კავშირში, ნატოს ჩათვლით.

მასალის თავისუფალი თარგმანი მოამზადა საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“.

◎ დღევანდელობის გამოწვევა

დავაყენებ ყველა პირის პასუხისმგებლობის საკითხს, ვინც „მაესტროს“ ქონებას უკანონოდ გამოიყენებს

„მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ლევან გაჩეჩილაძემ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„არაერთხელ განვაცხადეთ, რომ კოტე გოგელიას მიერ „მაესტროს“ მიმართ დაწყებული გაკოტრების პროცესი არის მიზანმიმართული და ხელოვნური, მას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი — „მაესტროს“ სახელისა და ქონების ხელში ჩაგდება. ახლა ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა, რადგან საჯაროდ გაცხადდა „მაესტროს“ მიერ იჯარით აღებულ შენობაში მისი დირექტორის არშეშვება კოტე გოგელიას და მისი დაქირავებული პირების მიერ, ასევე სხვა ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებაში. საჯაროდ გაცხადდა კოტე გოგელიას და ილია კიკაბიძის განზრახვა „მაესტროს“ აპარატურის დირექტორის თანხმობის გარეშე გამოყენებისა და „მაესტროს“ სახელით ალტერნატიული მაუწყებლობის დაწყების შესახებ. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მათ „მაესტროს“ ჟურნალისტების გადაყვანა უნდათ იმ კომპანიაში, რომელსაც დღეს უკანონოდ მიტაცებული აქვს „მაესტროს“ ბრენდი. საჯაროდ ვაცხადებ, რომ დავაყენებ ყველა პირის პასუხისმგებლობის საკითხს, ვინც „მაესტროს ქონებას უკანონოდ გამოიყენებს, შეაფერხებს მის საქმიანობას მისი დირექტორის მიმართ უკანონო მოქმედებებით. გარდა ამისა, მოვითხოვ, ზიანის ანაზღაურებას იმ პირებისგან, ვინც „მაესტროს“ თანამშრომლებს აიძულებს, რომ ხელი მოაწერონ ხელშეკრულებებს სხვა კომპანიასთან. მოვუწოდებ „მაესტროს“ თანამშრომლებს, ნუ შეჰყვებიან ბინძურ თამაშებში „მაესტროს“ დანგრევისა და მისი ქონების მიტაცების მსურველებს და ნუ ითანამშრომლებენ კომპანიასთან, რომელთანაც „მაესტროს“ ამჟამად სამართლებრივი დავა აქვს. ასევე მოვუწოდებ სახელმწიფო ორგანოებს და სასამართლოს, ნუ მოექცევიან აგორებული ცილისმწამებლური კამპანიის გავლენის ქვეშ და არ დაუშვან „მაესტროს“ საკუთრების უკანონო ხელყოფა და მისი, როგორც დამოუკიდებელი ტელევიზიისთვის, შეფერხებების შექმნა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია დასრულებულია

თბილისის მერის დავით ნარმანიას დავალებით, ბარათაშვილის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, კერძოდ, 30 აპრილის ნაცვლად 14 მარტს დასრულდა, შესაბამისად, ხიდზე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად არის აღდგენილი.

დავით ნარმანიამ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსთან გივი კუბლაშვილთან ერთად, ბარათაშვილის ხიდის სავალ ნაწილზე დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა და ხიდის ქვეშ არსებული საფეხმავლო გადასასვლელის დროულად და ხარისხიანად დასრულებასთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებები გასცა.

„ბარათაშვილის ხიდზე სამუშაოები დასრულდა და საავტომობილო მოძრაობა სრულად არის აღდგენილი. როგორც ეს დავალებით ჰქონდა კომპანიას, მან დადგენილ ვადაში, 15 მარტამდე დაასრულა სამუშაოები და გაიხსნა მოძრაობა. რაც შეეხება ხიდის ქვედა ნაწილს, გრძელდება მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგების სამუშაოები და უახლოესი 1 თვის განმავლობაში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებიც მორჩება, ამით კი მთლიანად დავასრულებთ ბარათაშვილის ხიდზე სამუშაოებს“, —განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ბარათაშვილის ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „ენ სი სი“ აწარმოებს და თბილისის მერიის ბიუჯეტიდან ხიდის რეაბილიტაციისთვის, ჯამში 1,970,000 ლარი დაიხარჯება.

ცხრამუხელებს გვალვა ვერ შეაშინებს

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხასთან სარწყავი სისტემების საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ საექსპლუატაციო სამუშაოების ფარგლებში სოფელ ცხრამუხას ტერიტორიაზე ახორციელებს ტაშისკარის სარწყავი სისტემის ორი გამანაწილებლის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებს. აღნიშნული გამანაწილებელი არხები ემსახურება 900 ჰექტარი მიწის ფართობის ირიგაციას. სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფლის მოსახლეობას — დაახლოებით 250 კომლს საშუალება ექნება 120 ჰექტარ მიწის ფართობზე აღადგინოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ განხორციელებულა. მიმდინარე სამუშაოები, რომლის ღირებულება 26 000 ლარია, მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს დასრულდება.

დღეისათვის შიდა ქართლში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 1 სარეაბილიტაციო პროექტი. მიმდინარე წლის განმავლობაში იგეგმება 12 გარდამავალი სარეაბილიტაციო პროექტის დაწყება.

როცა სისუფთავეზე ლაპარაკს, მართლაც ოთახის გამოგვა სჯობს!

თანამდებობრივი სავარძლების სიმაღლიდან ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, მაღალჩინოსანთა თვალში ისეთივე პაწაწუნები და სასაცილონი ვჩანვართ, როგორც ლილიპუტების ქვეყანაში მოხვედრილი გულივერისთვის იქაური მკვიდრნი?

მართლაც კარგი რამეა ცოცხი. ოღონდ, ცხადია, ღმერთმა დაგვიფაროს მისი იმ მიზნითა და დანიშნულებით გამოყენებისგან, რისთვისაც და როგორაც მას ნაციონალები იყენებდნენ, რომლებიც ცოცხის „მისიის“ ამგვარი „ინტერპრეტაციის“ გამოც გამოცოცხეს ამომრჩევლებმა კაბინეტებიდან და თავიანთი ცხოვრებიდანაც.

თუმცა, იმაზე, თუ რად გამოვიტანე ამ მასალის რუბრიკად გადაფრაზირებული გალაკტიონისეული ტაეპი და კიდევ არის თუ არა საჭირო ცოცხის თავისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება, ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს ღია წერილებში მითითებულ გარემოებებზე რეაგირება სცილდება საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს, რის გამოც მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა“.

ასე მთავრდება ჩვენი გაზეთის რედაქციისთვის „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ბათუმელი ტარიელ დოლიძის წერილის გამო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით – მოპოვებული!) პასუხი, რასაც ხელს აღნიშნული ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სოფიო ჭითანავა აწერს.

უწინარესად, მადლობა მინდა, მოვახსენო ქალბატონ სოფიოს სამართლებრივი განათლების განხრით უფასო სალექციო კურსის ჩატარებისა და ასევე უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის. ამის წყალობით პირადად მე უკვე აღარც დამჭირდება ზოგად ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებსა და, რაც მთავარია, კანონთა კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში ჩახედვა.

და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სწორ გზაზე „დაგვაყენა“: თუ ვინმე თქვენს უფლებებს არღვევს, ჩვენთან რა გინდათ, სასამართლოს მიმართეთო!

თავდაპირველად მინდოდა ამ პასუხის მთლიანად დაბეჭდვა, რათა თქვენც „განათლებულიყავით“ სამართლებრივ სფეროში, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მერე გადავიფიქრე ამ ფაქტობრივად არაფრის მთქმელი, მათი აზრით, ბატონი ტარიელისა და ჩვენი რედაქციის მსგავსი აბეზრების თავიდან მოსაცილებლად დაწერილ-გამოგზავნილი პასუხის „განხილვა“.

ამას ვარჩიე, რამდენიმე კითხვა დამესვა ქალბატონი სოფიოსთვის.

თუმცა, მანამდე ისე, როგორც იტყვიან, ცნობისთვის, შემეხსენებინა მისთვის, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ურთიერთობათა გარკვევისა თუ დავათა განხილვისას, ქართული ხასიათის, ქართველთა მენტალობისა თუ მორალის გათვალისწინებით, ძალიან ხშირად, დაუწერელი კანონი დაწერილზე უფრო მეტად ჭრიდა.

მაგრამ რაკი ქალბატონი სოფიო უფრო დაწერილი კანონების მორჩილი ბრძანდება და მათ შესატყვისად გვესაუბრება, მეც უმთავრეს კანონში აღნიშნულ რამდენიმე პუნქტი მინდა, შევახსენო:

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლში წერია, რომ **„საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“.**

ალბათ, დამეთანხმებით, რომ „ხალხი“ ისეთი ადამიანების ერთობლიობაა, როგორიც გახლავთ, ვთქვათ, ბატონი ტარიელ დოლიძე.

კონსტიტუციის მეჩვიდმეტე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად **„ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“**, ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად კი **„დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი, ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა“.**

ლამის თვალნათლივ ვხედავ ქალბატონ სოფიოს გაკვირვებულ სახეს ამ სტრიქონების წაკითხვის მერე – **მე რას მემართლებით, ხომ გირჩიეთ, თუ ვინმე თქვენს პატივს ან ღირსებას ლახავს, სასამართლოს უნდა მიმართოთო?**

არა, ქალბატონო სოფიო, „უდიპლომო სასიძოში“ ვახტანგ ნინუას გმირისა არ იყოს, გაკვირვებული ვარ დენის კითხვაზე – კაცო, მე რას გადამეკიდე, მე მე-არშიყები თუ ჩემს ქალიშვილსო, – რომ უპასუხებს, ჯერ თქვენთან მაქვს საქმეო.

ამისი არ იყოს, ჯერ თქვენთან და, თქვენი სახით, მთელი მთავრობის იმ მრავალი სტრუქტურის მაღალჩინოსანთან მაქვს საქმე, თავიანთი თანამდებობრივი სავარძლის სიმაღლის წყალობით გაგულივერებულთ, ჩვეულებრივი მოკვდავნი ჭიანჭველებად რომ ვეჩვენებით.

ქალბატონო სოფიო, ერთხელ მაინც არ გიგრძვნიათ თავი შეურაცხყოფილად თუ ღირსებაშელახულად, როდესაც, ვთქვათ, ვინმეს თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრებოდით, ის კი ისეთი გამომეტყველებით განაგრძობდა რაღაცის კეთებას, თითქოს თქვენი კითხვა არ გაეგოს და უპასუხოდ დეტოვებინოთ? ან თუნდაც მაშინ, როცა თქვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე ვინმესთვის დაგირეკავვთ თუ წერილი გაგიგზავნიათ, მას კი, რამდენჯერმე შეხსენების შემდეგაც, უპასუხოდ დაუტოვებიხართ?

თქვენ ეს პასუხი კი არ გამოგიგზავნიათ, არამედ იგი ჩვენ – რედაქციამ და ჩვენმა ავტორმა – ტარიელ დოლიძემ, როგორც ვთქვი, მოვიპოვეთ. ის კი არა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ხელიდან გამოგღლიტეთ!

სხვანაირად როგორ შევაფასოთ ფაქტი, როდესაც 18 იანვარს თქვენთან რეგისტრირებულ ჩვენს მიმართვაზე, თებერვლის მიწურულს უპასუხეს ტელეფონით ბატონ ტარიელს – თქვენი მიმართვა მთავრობის ადმინისტრაციიდან ჯერ არ გამოსულა, ერთ კვირაში დარეკეთო? მესამედ მოკითხვის შემდეგღა გვიპასუხეთ.

რით არ არის ეს პასუხის მოუთმენლად მომლოდინე ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი საქციელი?

თუმცა სულ რაღაც თვე-ნახევრის დაგვიანება რა სახსენებელია, როდესაც თქვენს ადმინისტრაციაში შარშანდელ 13 აგვისტოსა და 30 სექტემბერს შემოტანილი ანალოგიურ მიმართვებზე პასუხის გამოგზავნა დღემდე არც გიფიქრიათ?

არც ეს არის ადამიანისადმი აგდებული, მისი პატივისა და ღირსების შემლახველი, მისდამი, სწორედაც რომ, გულივერისეული დამოკიდებულება?

იქნებ კეთილი ინებოთ, ქალბატონო სოფიო და როგორც კანონებში კარგად გარკვეულმა სპეციალისტმა, გვითხრათ, რომელსამე კანონში, ზოგად ადმინისტრაციულსა თუ სხვაში, არ არის დაწესებული მოქალაქეთა განცხადება-მიმართვებზე პასუხის გაცემის ზღვრული ვადა (რა ვიცი, იმ „საზიზღარი“ კომუნისტების დროს ადამიანისადმი, მისი საჭიროებისა თუ განცხადებისადმი ამგვარი აგდებული დამოკიდებულება ვის ეპატიებოდა!)?

თუ არის, რად არ იცავთ მის მოთხოვნებს, ხოლო თუ კანონში არ არის, თქვენი სამსახურის შინაგანაწესში მაინც რად არ ითვალისწინებთ? **აი, თუნდაც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში თქვენი ადმინისტრაციის სამდივნოს შინაგანაწესში?**

საინტერესოა, თუ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ქვეყნის ინტერესების მსახური და ერთგული ისეთი დაჩაგრული ადამიანი რჩება ამ სამდივნოს ყურადღების მიღმა, როგორც ბატონი ტარიელია, **მაშინ ვის უფლებებს იცავს იგი, უკაცრავად და, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა არ იყოს, მხოლოდ „მესაჯდომეებისას“?!**

ან კიდევ ერთი თქვენი სამსახური – მედიამონიტორინგისა.

სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, ვის და როგორ „ამონიტორინგებს“ იგი, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა მთელი დანარჩენი მასმედია კერძო საკუთრებაა?

და კიდევ. არ ვიცი, ჩვენთან (უფრო სწორად თქვენთან, კანცელარიაში) როგორ არის, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტს სპეციალური სამსახური დღეში სამჯერ უდებს მაგიდაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ტელევიზიისა თუ ჟურნალ-გაზეთების მასალათა დაიჯესტს.

აი, ამ სამსახურს (ან თუნდაც პრესცენტრს) რომ მიეწოდებინა ბატონი პრემიერისთვის ჩვენი გაზეთის ის ნომერი (15.01.16), რომელშიც მისდამი მიმართვა იყო დაბეჭდილი, დარწმუნებული ვარ, იგი, მოუცლელობის მიუხედავად, მას უყურადღებოდ და ურეაგირებოდ არ დატოვებდა.

მეტი რა ექნა ბატონ ტარიელს? 2013 წლის ივლისიდან მოყოლებული, მან რამდენჯერმე სცადა, დაკავშირებოდა „საქრკინიგზის“ გენდირექტორს, ბატონ ბახტაძეს სატელეფონო თუ ელექტროფოსტით, წერილით, მაგრამ... ამიტომ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 21 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა მიმართვა მისდამი. პასუხი? – თქვენც არ მომიკვდეთ...

2014 წლის 2 აგვისტოს მან კვლავ ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნა ღია წერილი „საქრკინიგზის“ გენდირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისადმი. რაკი მათგან პასუხს ვერ ეღირსა, 2014-215 წლებში ათჯერ მიმართა ყოფილ პრემიერ-მინისტრს...

კვლავ არსაიდან ხმა, არსით ძახილი...

ახლაც თითქოს ცხადად ჩამესმის თავისი საჭიროებისადმი ამგვარი აგდებული დამოკიდებულებით უზომოდ გულნატკენი ბატონი ტარიელის სიტყვები, როცა შარშან ტელეფონით დამიკავშირდა: – **მთელი ჩემი ცხოვრება ზღვასთან იყო და არის დაკავშირებული. მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ვარ ნამყოფი გემით, რა საშინელი ქარიშხლები თუ სხვა ფათერაკსიძნლეები არ გადამილახავს, საიდანაც თავის დაღწევა უტოპიად ჩანდა, მაგრამ საკუთარი უძლურების შეგრძნებით მერწმუნეთ, არასოდეს არ ვყოფილვარ შინაგანად**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

ბატონი ტარიელ,

ბატონო სოფიო,

ისე დათრგუნვილი, როგორც ახლა, ამ უსამართლობასთან ჭიდილში ჩემი აბუჩად აგდებითო.

არადა, რას ითხოვს ეს ადამიანი ასეთ შეუსრულებელს?

მისი შვილი, ლა ვერნ კალიფორნიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ეკონომისტი ბაკალავრი, საზღვაო ეკონომიკისა და ლოჯისტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, როტერდამის, ერაზმუს უნივერსიტეტებში განათლებამიღებული, ოთხი ენის მცოდნე და სუფთა ბიოგრაფიის პატრონი მირზა დოლიძე „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის ბრძანებით (№2/35,16.07.2013) გათავისუფლდა სამსახურიდან შემდეგი „დიაგნოზით“: **„მიზანშეწონილია გათავისუფლდეს“.**

სწორედ ამ **„მიზანშეწონილობის“** დაკონკრეტებას ითხოვდა და ითხოვს ახლაც ეს ადამიანი.

იმაზეც სტკივა გული, რომ მირზას ადგილზე დანიშნული პიროვნება იმდენად არაპროფესიონალი თუ დაკავებული თანამდებობისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე თვეში სხვა, ასევე წარუმატებელი მუშაკით შეიცვალა. ამგვარი მიდგომით, ცხადია, საქმე ზიანდება.

ამიტომაც წერდა იგი ღია წერილებს, მიმართვებს, მაგრამ... მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით: **„მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ქ-ნი მაია ცქიტიშვილი ყველა ჩემს მიმართვას აგზავნიდა მხოლოდ რკინიგზაში. იქ კი, როგორც ვთქვი, „მარხავდნენ“. ჩემმა ვერც ერთმა მიმართვამ პრემიერ-მინისტრამდე ვერ მიაღწია. ასე გავიდა თითქმის 30 თვე“.**

და ბოლოს, კიდევ ერთი ნათქვამ-პოზიცია ბატონი ტარიელისა, **რასაც გულივერები არ დაიჯერებენ, ხოლო თუ მაინც ირწმუნეს, გაუკვირდებათ საკითხისადმი „ჭიანჭველის“ ამგვარი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივად სწორი მიდგომა.** ამონარიდი ბატონი პრემიერისადმი ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ტარიელ დოლიძის მიმართვიდან:

„მერწმუნეთ, ბატონო გიორგი, სწორედ და მხოლოდ ქვეყნად სამართლიანობის, ზნეობრიობისა და კეთილსინდისიერების დამკვიდრებაა ჩემი უმთავრესი მიზანი და არა ჩემი უსამართლოდ გათავისუფლებული ვაჟიშვილის სამსახურში აღდგენა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისნაირი განათლებული და ნიჭიერი, პროფესიონალი კადრისთვის (მაპატიეთ საკუთარი ვაჟის ასე აღმატებულ ხარისხში მოხსენიება) სამსახურის შოვნა დიდი პრობლემა არ არის. და აქვს კიდეც შემოსავალი.

ამიტომაც ამ საკითხის გამო სამართლიანობის გამარჯვება უფრო იმისთვის მინდა, რომ ხალხმა რწმენა არ დაკარგოს და ხელი არ ჩაიქნიოს.

შესაძლოა, ბევრ ობივატელს ირონიულად ჩაეცინოს და ერთგვარ თეატრალურ ჟესტადაც ჩამითვალოს ზემოთქმული, მაგრამ ეს მართლაც ასეა!“

კი მისწერა, მაგრამ რა ქნას პრემიერ-მინისტრმა, საქვეყნო საქმეებით ერთობ გადატვირთულმა ადამიანმა, რომელიც, თუნდაც მოუცლელობის გამო, ყველა ჟურნალ-გაზეთსა თუ მისთვის გაგზავნილ ყველა განცხადება-მიმართვას ვერ წაიკითხავს?

თუ სადმე უსამართლობას წააწყდება, ან ამის თაობაზე ინფორმაციას მიაწვდიან, რეაგირებას არ აყოვნებს (გავიხსენოთ თუნდაც საკუთარი თანამდებობითა და „ყოვლისშემძლეობით“ გათავხედებული „ბათუმის წყლის“ გენდირექტორის საქციელზე მისი გამოხმაურება), მაგრამ **როცა სახელმწიფო კანცელარიის ის მუშაკები, მუდმივად და ობიექტურად რომ უნდა აწვდიდნენ მას ინფორმაციას, საქმით ამის საწინააღმდეგოს აკეთებენ და, ბატონი ტარიელისა არ იყოს, ინფორმაციებს, მათზე დროული რეაგირების ნაცვლად „მარხავენ“, სასიკეთო რამე გამოვა?**

ასეთი „მესაფლავეების“ ადგილი, ჩემი ღრმა რწმენით, საჯარო სამსახურში არ უნდა იყოს!

აი, ამიტომაცაა საჭირო ამ წერილის რუბრიკაში ნახსენები ცოცხების პირდაპირი დანიშნულებით და დაუყოვნებლივ გამოყენება — ძალიან ბევრია მარტო მთავრობის კანცელარიის კი არა, მრავალი სამთავრობო დაწესებულების კაბინეტებიდან „გამოსაცოცხი“.

სხვაგვარად წესრიგი ვერ დამყარდება. სხვანაირად თქვენი სურვილი და მოწოდება, ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ მოვისმინე, ბატონო გიორგი, — მაღალჩინოსნები თავმდაბლურად, ადამიანურად უნდა ეპყრობოდნენ ადამიანებსო, რაც მე პირადად ძალიან მომეწონა, მაპატიეთ, მაგრამ ვეჭვობ, რომ განხორციელდეს.

და აქ უნებლიეთ, ილფი და პეტროვი გამახსენდა: **ერთთავად სისუფთავეზე ლაპარაკს ცოცხის აღება და ოთახის გამოგვა სჯობსო.**

ნაღდად სჯობს, თორემ მგელს რამდენიც არ უნდა უკითხო სახარება, იგი მაინც ერთთავად ტყისკენ იყურება, თურმე.

ბოდიშს ვიხდი, ბატონო გიორგი, ნათქვამი ჭკუის სწავლებად არ ჩამომართვათ, როგორც იტყვიან, მხოლოდ კეთილი ზრახვები და თქვენი სამთავრობო შემადგენლობის წარმატებების სურვილი მალაპარაკებს, რაც ჩვენი საყოველთაო გამარჯვება იქნება...

და ბოლოს, რაც შეეხება „საქართველოს რკინიგზას“, როგორც ჩანს, მოგვიწევს იქაურებთან სტუმრობა (თუ ინებეს ჩვენი მიღება, ცხადია: კარგი ცხოვრებით გაყოყოჩებულებმა იქნებ არც გაგვიყადრონ თავი — ხელფასით რეკორდსმენი ჩინოვნიკების სამეულში ხომ იქაური თავკაცები არიან!).

რას იზამ, ერთი ანდაზისა არ იყოს, როცა მთა არ მიდის მუჰამედთან...

რუსლან რუსია

◎ ღია წერილი პრემიერ-მინისტრს

რასაც მომავალი თაობები არ გვაპატიებენ!

ბატონო პრემიერ-მინისტრო,

გვინდა, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას — საქართველოში მიწის მართვისა და აღრიცხვის საკითხს. მისული ვართ იმ სავალალო შედეგამდე, რომელსაც ჰქვია მიწის რესურსებზე სახელმწიფოს მიერ ერთიანი კონტროლის დაკარგვა. პრობლემის გადაუწყვეტლობა არარეალურს გახდის ეროვნული ეკონომიკის წინსვლას, გააღრმავებს უნდობლობას ხალხსა და მთავრობას შორის და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს.

2004 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოვლად დაუსაბუთებლად, უსაფუძვლოდ გააუქმა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ძირითადი ფუნქციები გადაუნაწილა იუსტიციის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს. ფუნქციების ამ გადანაწილებას (გახლეჩას) შედეგი არ მოჰყოლია. მიწას არავინ აღრიცხავს და მის ბალანსს დღემდე არავინ არ ადგენს. დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

2005 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად აღირიცხებოდა მიწები მათი დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. თითოეულ რაიონში ჩატარებული მიწის აღრიცხვის საფუძველზე ხდებოდა საქართველოს მიწის ყოველწლიური ბალანსი, რომელიც განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწით ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მიწის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდეს, მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ აანალიზებდეს, არ აკონტროლებდეს მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), არ იცოდეს, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეობაზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, არ ახორციელებდეს ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანსს ვერ განასხვავებს მიწის კადასტრისგან და აცხადებს, რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მიწის კადასტრსო. მიწის კადასტრი არის რეგისტრაციის მომენტისთვის მიწის ფართობის ერთჯერადი დადგენა კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით.

მიწის ბალანსი მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად, მიწის ბალანსი რაიონში აღრიცხავს და აზუსტებს მთლიან ფართობს, მათ შორის, რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო მიწა კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღები, ციტრუსები, ჩაის ფართობები და სხვ.), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყის ფონდის მიწა, წყლის ფონდის მიწა და სხვა მიწები მესაკუთრეების მიხედვით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ცნებების აღრევა — სავარგული არის მიწის ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება პროდუქციის მოსაყვანად. სავარგულების კატეგორიებია: სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები და საძოვრები; ხოლო, საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთად რეგისტრირებულ მიწებში იგულისხმება სავარგულები და ასევე, ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობები, გზები, ქარსაფარი ზოლები, არხები და ა.შ., რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საინტერესოა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როგორ ადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არა აქვს მიწის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა. ასევე, საინტერესოა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა. „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, როდესაც არ იცის და არ აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.

როგორც ცნობილია, მიწის გამოყენებას უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო. მიწის ფონდის კონტროლი და მართვა მხოლოდ სახელმწიფოს განსახორციელებელია და ამისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს.

მართალია, რეგისტრაციის შედეგად მიღებული მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი და ძვირფასი რესურსია, მაგრამ სრულყოფილი რეესტრის წარმოების შემთხვევაშიც კი, მარტო ამ რესურსზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მიწის პოლიტიკის განხორციელება და ეფექტურად მართვა შეუძლებელი იქნება, თუ არ იარსებებს მიწის მართვის ძლიერი სახელმწიფო ორგანო.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საქმიანობა უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური განსჯის საგანი არ უნდა იყოს ის, თუ რომელ სამინისტროს ან ორგანიზაციას შეუძლია უკეთესად შეასრულოს მმართველის ფუნქცია — აუცილებელია, შეიქმნას მიწის ადმინისტრირების მაკოორდინირებელი ორგანო (სახელს მნიშვნელობა არა აქვს, იქნება სააგენტო, სამსახური თუ სხვა), რომლის ამოცანა იქნება მიწის ადმინისტრირება — სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა, მიწის გამოყენების კოორდინაცია, მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა — ცვლილებების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება. ანუ, მიწის ადმინისტრირების ორგანო უნდა ფლობდეს ძლიერ პოზიციას მთავრობაში ერთიანი რესურსის ინფორმაციასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობის გამო.

ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის — მიწის — დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის, მიწაზე მონიტორინგისა და მიწის კოდექსის მიღების გარეშე.

მიწის ფართობების ყოველწლიური აღრიცხვის უგულებელყოფას და მიწის კოდექსის არარსებობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

იმედი გვაქვს, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ ამ სახელმწიფოებრივად არსებითი მნიშვნელობის პრობლემის გადასაჭრელად.

პატივისცემით,

ამგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი თევდორე (ამგროლაძე), რეზო ამაშუკელი, გია არეშიძე, როგერტ ბაგლიძე, იოსებ ბაჩიაშვილი, დემურ გახტაძე, მერაბ გოხუა, გივი გუცხრიკიძე, მერი გაგედავა, რამაზ გახოკიძე, მამუკა გიორგაძე, რევაზ გოგოხია, როსტომ გუნთაიშვილი, ვახტანგ გურული, ავთანდილ დემეტრაშვილი, ლევან ვასაძე, მერაბ ვაჩნაძე, დავით ზარდიაშვილი, გენო კალანდია, ჯემალ კაციტაძე, გია მაისაშვილი, გესიკ მამინაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, გურამ მაძაცარია, შოთა მაჭარაშვილი, რევაზ მახაროგლიძე, ანზორ მესხიშვილი, ზურაბ მიძელაძე, გრიგოლ მურღულია, ნოდარ ნათაძე, ზაურ ნაჭყებია, ოთარ ჟორდანია, ბადრი რამიშვილი, ზურაბ რევიშვილი, ნიკა სანეგლიძე, ლევან სვანაძე, ავთანდილ სილაგაძე, აპოლონ სილაგაძე, ნაუმ ტურაგელიძე, თენგიზ ურუშაძე, ჯუმბერ ფანჩულიძე, ყარამან ფაღავა, ლევან ფრუიძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ქეშელაშვილი, თამაზ ყურაშვილი, თემურ შაშიაშვილი, ზვიად შვანგირაძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლევან ჩაჩუა, ნიკო ჩიხლაძე, ნინო ჩიხლაძე, თინა ჩხეიძე, მურმან ცეცხლაძე, თამაზ წივწივაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჭიჭაღუა, ეთერ ხარაიშვილი, ჯემალ ხაჩიძე, რამაზ ხუროძე, ელიზბარ ჯაველიძე, მიხეილ ჯიგუტი, ზაურ ჯინჯოლავა, დოდო ჯოლოხავა, პაატა კოლუაშვილი.

უნივერსიტეტში ნაცების ბუდე უნდა დაინგრეს!

გიორგი გაფრინდაშვილმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა

გიორგი გაფრინდაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერობის პოზიციიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

„მინდა ბოდიში მოვიხადო, მე უკან ვიხევ. უკან ვიხევ მხოლოდ უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ყოველთვის ვიქნები უნივერსიტეტის გვერდით, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ჩემს გვერდით არიან. ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც არის ჩემს გვერდით, მაგრამ დღეს უნივერსიტეტში არის უმართავი მდგომარეობა. რაღაც ნაწილს თუ მაინც ეს პრობლემა მოაგვარებს, რომელსაც ვითომდა ბრალდებები ჰქვია, მე მზად ვარ ამისთვის“, – თქვა გიორგი გაფრინდაშვილმა.

ის სტუდენტები, ვინც გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნას ითხოვდნენ, პროტესტს არ წყვეტენ.

„ჩვენ, როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა, გადავინაცვლებთ 115-ე აუდიტორიაში და გავაგრძელებთ მსჯელობას. „ოდეერი“ ცოცხალია! კომკავშირი ცოცხალია! შედეგი მიღწეულია. ჩვენი ძალა ყველამ იგრძნო. ქაჯეთის ციხე ბოლომდე უნდა დაინგრეს“, – ასე მიმართა აქციის მონაწილეებს გუშინ სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

დაუშვებელია მიმდინარე პროცესების პოლიტიზება!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, უწყება მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან თუ სტუდენტთა ნებისმიერი გაერთიანების წარმომადგენლებთან, რათა საკანონმდებლო სივრცე მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობის.

„უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, აკადემიური საქმიანობის სივრცეა, სადაც სრული ავტონომიის პირობებში, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს დამოუკიდებლად სწავლის, სწავლებისა და კვლევის, ასევე საკუთარი აზრისა და მოქალაქეობრივი პოზიციის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

მიუღებელია უნივერსიტეტის საქმიანობაში გარე ძალების, სახელმწიფო სტრუქტურების თუ სხვა პოლიტიკური ჯგუფების ჩარევა ნებისმიერი ფორმით, ისევე როგორც სტუდენტებზე ზემოქმედების მცდელობა. დაუშვებელია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების პოლიტიზება.

გამოვთქვამთ მზადყოფნას, ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თუ სტუდენტთა ნებისმიერი გაერთიანების წარმომადგენლებთან, რათა საკანონმდებლო სივრცე მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გამჭვირვალე, თანასწორუფლებიან და სამართლიან სისტემას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით“, – აღნიშნულია განცხადებაში. განათლების სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ უზრუნველყოფილი იქნება პრობლემის კონსტრუქციული დიალოგის გზით გადაჭრა.

* * *

სტუდენტებს შორის დაპირისპირება მაინც მოხდა. სტუდენტების ცნობით, რომლებიც კანცლერის პოსტზე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას აპროტესტებდნენ, თვითმმართველობის წევრები უნივერსიტეტის შენობაში უკანა კარიდან შევიდნენ. ისინი იმ ადგილას მისვლას ცდილობდნენ, სადაც სტუდენტები რამდენიმე დღეა, უნივერსიტეტის ავტონომიის მოთხოვნით აქციას მართავენ.

უნივერსიტეტის დაცვამ და პოლიციამ სიტუაცია მალევე განმუხტეს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სოფიო შამანიდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე აქციას დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილის მრჩევლებმა კახა კოჟორიძემ და სოფიო შამანიდმა უნივერსიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართეს შეხვედრა და დაპირისპირებული სტუდენტების ორივე ჯგუფს დიალოგისკენ მოუწოდეს. როგორც კახა კოჟორიძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აკვირდება. **„ჩვენი აქ მოსვლის მთავარი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ხელი შეგვეწყო დიალოგისთვის და ის გარემო, რომელიც შეიძლება რაღაც გარკვეულ რისკებს ქმნიდეს გარკვეული დაპირისპირებების, დიალოგის რეჟიმში გადაიზარდოს. ასევე დამატებით ვიტყვი იმას, რომ უნივერსიტეტში, კიდევ ერთხელ ცხადია იქნება აზრთა სხვადასხვაობები, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სტუდენტების ორივე ჯგუფს აქვს მთელი რიგი საერთო საკითხები. მაგალითად ის, რომ მიუღებელია ოდეერის ინსტიტუტის არსებობა უნივერსიტეტში, ეს მათი საერთო პოზიციაა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ისინი შეეცდებიან მონახონ არა ის საკითხები, რაც ერთმანეთისგან განასხვავებებს, არამედ ის საკითხები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსი პოზიციის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს“,** – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

№ 14.03.2016-ს2-01

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ბ-ნ **გიორგი კოპალეიშვილს** (მსესხებელი/მესაკუთრე) პ/ნ 01025004178
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა № 33, ბინა 8(ყოფ. დიდი დიღმის 1 მკრ.)

მოგესალმებით ბ-ნო **გიორგი**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული, ნომერი: **101514877,** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული ნომერი: №151145612 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **101514877**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 16 იანვრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 14 მარტის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (683.21აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანება (684.79 აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტი (255.96 აშშ დოლარი) ვადა გადაცილებული ძირითადი თანხა (2,530.33 აშშ დოლარი) (სულ: 15688,43 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის (ს/კ 72.06.09.064) რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი მელორი ასათიანი, სესხზე პასუხისმგებელი კრედიტ ოფიცერი ნიკო გურასპაშვილი ტელ: 2 15 15 15 ; 2 340 940 მობ: 595 08 08 78

2016 წლის 14 მარტი

№ 14.03.2016-ს2-02

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ბ-ნ **ზურაბ დადიანიძეს** (მსესხებელს) პ/ნ 59001103283
მისამართი: საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, პეტრე მელიქიშვილის I ჩიხი, № 13, ბინა 2

მოგესალმებით ბ-ნო **ზურაბ**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული, ნომერი: **101514876,** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული ნომერი: №151145612 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **101514813**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 16 დეკემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 14 მარტის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (1,811.23 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანება (1,374.98აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტი (331.51აშშ დოლარი) ვადა გადაცილებული ძირითადი თანხა (4,870.96აშშ დოლარი) (სულ: 23327,31 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის (ს/კ 72.06.09.064) რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი მელორი ასათიანი, სესხზე პასუხისმგებელი კრედიტ ოფიცერი ნიკო გურასპაშვილი ტელ: 2 15 15 15 ; 2 340 940 მობ: 595 08 08 78

2016 წლის 14 მარტი

№ 14.03.2016-ს2-03

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ქ-ნ **მარინე დოლიძეს** (მსესხებელი) პ/ნ01030024583
მისამართი: თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. № 75 (ყოფ. კალინინის ქ.)

მოგესალმებით ქ-ნო **მარინე**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული, ნომერი: **101514813,** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული ნომერი: 151145612 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **101514813**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 16 დეკემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 14 მარტის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (1,811.23აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანება (1,374.98აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტი (331.51 აშშ დოლარი) ვადა გადაცილებული ძირითადი თანხა (4,870.96 აშშ დოლარი) (სულ: 23327,31 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის (ს/კ 72.06.09.064) რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი მელორი ასათიანი, სესხზე პასუხისმგებელი კრედიტ ოფიცერი ნიკო გურასპაშვილი ტელ: 2 15 15 15 ; 2 340 940 მობ: 595 08 08 78

2016 წლის 14 მარტი



ტრადიციებს აღდგენა სჭირდება, გარე საფრთხეებს – ლიკვიდაცია, საზოგადოებას – განათლება

— ყველა ის ექსცესი, რომელიც ისლამთან არის დაკავშირებული, უცოდინრობისა და საზოგადოებრივი მოუმზადებლობის, ასევე უცხო ქვეყნის დაკვეთის მიზეზით ხდება და აქედან გამოდინარე, ხიფათის შემცველი მოვლენაა. ამასთან, გარკვეულწილად, რელიგიური თანაცხოვრობის ტრადიცია დაიკარგა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ძალიან მალე აღდგა ქრისტიანული ცხოვრების ტრადიცია, ამას სახელმწიფომ შეუწყო ხელი და ისლამს, სამწუხაროდ, შესაბამისი ყურადღება არ მიაქციეს. ტრადიციებს აღდგენა სჭირდება, გარე საფრთხეებს — ლიკვიდაცია, საზოგადოებას კი — შესაბამისი განათლება, — განუცხადა „აქცენტს“ კავკასიოლოგმა **მამუკა არეშიძემ** იმ კითხვის საპასუხოდ, მზად არის თუ არა საზოგადოება, მიიღოს სასულიერო სასწავლებლების იდეა.

საქართველოში სადღეისოდ 30-მდე მედრესე ფუნქციონირებს, რომელთა სასწავლო პროგრამაც სახელმწიფოსთან არ არის შეთანხმებული, შესაბამისად სახელწიფოს არ აქვს წვდომა, აკონტროლოს სწავლების მიმართულება.

„იმ მედრესეთა სწავლების პროგრამა, რომლებიც მუსლიმთა სამმართველოს ექვემდებარებიან, შეთანხმებულია სამმართველოსთან. რაც შეეხება დანარჩენებს, ამის თაობაზე გადაწყვეტილებებს მედრესეს ადმინისტრაცია თავად იღებს“, — ამბობს სამცხე-ჯავახეთის მუფტი **მამუკა ვაშაყმაძე.**

რაც ჩეეხება ჩვენს მიერ ნახსენები სასულიერო სასწავლებლის იდეას, იგეგმება, რომ მისი პროგრამა განათლების სამინისტროსთან შეთანხმდეს, ახალგაზრდებს კი ცოდნა ავტორიტეტულმა ფიგურებმა გაუზიარონ.

— ჩვენ, ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც რელიგიურ საკითხებზე ვმუშაობთ, ვამუშავებთ სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების თემას. ვფიქრობთ, რომ უფრო კომფორტული იქნება, თუ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი მუსლიმური მოსახლეობა აქვე დაეუფლება უმაღლეს განათლებას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 15% მუსლიმია და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უსაფრთხოების და პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, საქართველოში იყოს ასეთი სასწავლებლები: უმაღლესი და რელიგიური სასწავლებლები, რომელთა პროგრამაც განათლების სამინისტროსთან იქნება შეთანხმებული. ვხედავთ, რომ ბევრ ახალგაზრდას სურს, მიიღოს რელიგიური განათლება, თუ რელიგიური არა, თეოლოგიური მაინც და ამისთვის სხვადასხვა ქვეყნებში მიდიან. ე.ი. დაინტერესება არის, ახლა საქართველოს ხელისუფლებაზე და საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რამდენად მიმზიდველი იქნება ეს სასწავლებლები. ჩვენ მოვიპოვეთ ყველა პროგრამა, რომლითაც მიმდინარეობს სწავლება ავტორიტეტულ შესაბამის სასწავლებლებში ახლო აღმოსავლეთში და ეს პროგრამა საქართველოს რეალობას მივუსადაგეთ. გათვალისწინებულია ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ასწავლიან უცხოეთის მაღალი დონის რელიგიურ სასწავლებლებში. პროექტზე მუშაობა, პრაქტიკულად, დავასრულეთ და ხელისუფლების გადასაწყვეტია, მას მომავალი წლისთვის განახორციელებს თუ მოგვიანებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ის ადამიანები გვყავს შეკრებილი, ვისაც საკითხი ესმის, საქართველოსთვის ეს მაინც უცხო ხილია, აქედან გამომდინარე, მას საერთაშორისო ექსპერტიზა სჭირდება. ჩვენ უნდა გავიზიაროთ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილებაც, კავკასიური ქვეყნების, ახლო აღმოსავლეთის და აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, მივიღოთ პროდუქტი, რომელიც ყველასთვის მოსაწონი იქნება, თუმცა, მხოლოდ ჩვენი ძალებით ამას ვერ გავაკეთებთ, — განუცხადა „აქცენტს“ მამუკა არეშიძემ.

მისივე თქმით, მთავარი პრობლემა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტია, თუმცა, პრობლემა მოგვარებადია.

— ჩვენ არ გვყავს ბევრი ისეთი სპეციალისტი, რელიგიური მოღვაწე, რომელიც სრულყოფილად ფლობს, მაგალითად, ყურანის ისტორიას, ისლამის ისტორიას. სრულყოფილად იციან, ვთქვათ, არაბული ენა. ჩვენ მაინც ვგეგმავთ, ძირითადი ხერხემალი საქართველოს მოქალაქეებით დაკომპლექტდეს და შესაძლებელია უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც, რომლებიც კომპეტენტურნი არიან და შესაბამისი გამოცდილებაც აქვთ, — ამბობს ექსპერტი.

რაც შეეხება მსგავსი სასწავლებლების არსებობის აუცილებლობას, კავკასიოლოგი საკითხს უსაფრთხოების ჭრილში განმარტავს.

— ჩვენ არ ვიცით, რა ტიპის სასწავლებლებში იღებენ განალებას საქართველოდან წასული ახალგაზრდები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხშირ შემთხვევაში, ისინი უცხო ქვეყნებისთვის პოლიტიკურ იარაღად იქცევიან. ზოგიერთი მათგანი ისეთ სასწავლებელში იღებს განათლებას, სადაც ფუნდამენტალიზმი დომინანტურია. კავკასიაში ისლამს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კავკასიური ისლამი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც მას სხვა ისლამისგან განასხვავებს. ეს არის კავკასიური ადათი და ამ ადათს ისლამში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ ასეთ ისლამს ვუწოდებთ ტრადიციულს. ტრადიციული ისლამის მნიშვნელობა კავკასიის სულიერი ცხოვრებისთვის ძალიან დიდია. ტრადიციულ ისლამს სხვა რელიგიებთან თანაცხოვრების უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ამასთან, მასა და ქრისტიანული ცხოვრების წესს შორის გარკვეულწილად მონათესავე მიდგომები არსებობს. ფუნდამენტალისტური ისლამური სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა როდესაც მოდის აქ, იწყებს მოღვაწეობას შესაბამისი ცოდნიდან გამომდინარე და ჩვენ ვიცით, რომ ფუნდამენტალური ისლამის მეშვეობით მავანი კავკასიურ სივრცეში გავლენის მოპოვებას ცდილობს. სწორედ ამიტომ ვხმარობთ ამ შემთხვევაში ტერმინს „პოლიტიკური ისლამი“. ეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პრობლემას წარმოადგენს და არა მხოლოდ ჩვენთვის, სადაც მოსახლეობის 15% მუსლიმია, არამედ, მაგალითად, აზერბაიჯანისთვისაც, სადაც მოსახლეობის გადამწყვეტი უმრავლესობა მუსლიმია. აღარაფერს ვამბობ ჩრდილოეთ კავკასიაზე. უკან დაბრუნებულები ებრძვიან იმას, რაც დამკვიდრებულია და ეს საზოგადოებაში ექსცესებს იწვევს. ვიცით, რომ ეს დაკვეთაა. ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა ისლამის იმ ფასეულობებს დაეფუძნოს, რომელიც საქართველოშია მიღებული. სხვათა შორის, ამ მოტივით არის შექმნილი მართლმადიდებლური რელიგიის უმაღლესი სასწავლებელი. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა საქართველოს რელიგიურ წიაღში იღებდეს განათლებას, რათა ადგილობრივი რელიგიური თავისებურებები გაითავისოს, — მიიჩნევს კავკასიოლოგი.

> **კავკასიური ისლამი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც მას სხვა ისლამისგან განასხვავებს. ეს არის კავკასიური ადათი და ამ ადათს ისლამში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ ასეთ ისლამს ვუწოდებთ ტრადიციულს. ტრადიციული ისლამის მნიშვნელობა კავკასიის სულიერი ცხოვრებისთვის ძალიან დიდია. ტრადიციულ ისლამს სხვა რელიგიებთან თანაცხოვრების უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ამასთან, მასა და ქრისტიანული ცხოვრების წესს შორის გარკვეულწილად მონათესავე მიდგომები არსებობს.**

„აქცენტი“ დაინტერესდა იდეის მიმართ თავად მუსლიმი თემის დამოკიდებულებით და გაარკვია, რომ უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის იდეა როგორც ტრადიციული ისლამის მიმდევრების, ისე სალაფიტებისთვისაც ერთნაირად მიმზიდველია, ხოლო, თუ რამდენად გაუწევს ის კონკურენციას უცხოურ სასწავლებლებს, უკვე სწავლების ხარისხზეა დამოკიდებული.

— ჩვენც ვმუშაობთ ამ საკითხზე. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გვინდა, გავხსნათ სასწავლებელი. ეს იქნება თეოლოგიური ფაკულტეტი თუ სხვა. ჩვენთვისაც მისაღებია, რომ ქართველი ახალგაზრდები თავიანთ ქვეყანაშივე იღებდნენ რელიგიურ განათლებას და არ მოექცნენ სხვა ქვეყნის ინტერესების ზეგავლენის ქვეშ. ახალგაზრდა უნდა ამოდიოდეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან, უნდა იყოს განათლებული და ამისთვის ბაზა საქართველოშივე უნდა შევქმნათ. თუ ამას არ გავაკეთებთ, პრობლემები სხვადასხვა კუთხიდან ხშირად იქნება. ამდენად, ამ ინიციატივას მივესალმები. ჩვენ უნდა შევქმნათ გარემო, რომ ამით ახალგაზრდები დაინტერესდნენ, — განაცხადა დასავლეთ საქართველოს მუფტმა **ბეგლარ ქამაშიძემ.**

მისივე თქმით, სადრეისოდ ახალგაზრდები ძირითადად არაბულ ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში იღებენ განათლებას.

თავად იდეის მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი პანკისელი სალაფიტების სულიერი ლიდერი ბექხან ფარეულიძეც.

— ისლამურ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღება აუცილებლად უნდა იყოს შესაძლებელი საქართველოში, ისლამური კულტურის არცოდნა დღეს გარკვეულ უარყოფით შთაბეჭდილებებს ტოვებს მუსლიმ და არამუსლიმ თემებს შორის. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, ამიტომ ყოველდღიური შეხება გვაქვს ქართველ ხალხთან, მართლმადიდებელ თემთან და ვიცით ქრისტიანული სწავლების ძირითადი პრინციპები, ხოლო ქართველმა ქრისტიანებმა ჩვენი რელიგიის პრინციპების თუ ძირეული საკითხების შესახებ ნაკლებად იციან, იმიტომ, რომ რელიგიურ უმცირესობას წარმოვადგენთ. აქედან გამომდინარე, საჭიროა, იყოს ქართულ ენაზე ისლამური განათლების მიღების შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა გახსნილი უნდა იყოს ნებისმიერისთვის საქართველოში. ვფიქრობ რომ, უპირველესად, აუცილებელია, სწავლების პროცესს კვალიფიციური კადრები უძღვებოდნენ, რადგან საუბარია ისლამურ უმაღლეს განათლებაზე. სასურველია, ისინი მუსლიმი სპეციალისტები იყვნენ, თანაც წმინდა ისლამური, სწორი კულტურული იდეოლოგიის მატარებლები, არ იხრებოდნენ ცალკეული იდეოლოგიისკენ და ცალკეულ მიზნებს არ ემსახურებოდნენ, — განაცხადა ბექხან ფარეულიძემ.

რაც შეეხება უსაფრთხოებას და ამ მიზნით სასწავლებლის საქართველოში არსებობის აუცილებლობას, ფარეულიძე მოვლენებს დრამატულად სულაც არ მიიჩნევს.

— შესაძლოა, სახელმწიფოებრივი ხედვით, ასეც იყოს, მაგრამ მეც ვსწავლობდი არაბულ ქვეყანაში. ისლამი თავის პრინციპებზე დაფუძნებული და ყველგან ერთია, აქაც ის სწორი ისლამი უნდა ისწავლებოდეს და იქაც. ეს ადამიანებზეა დამოკიდებული, თუ როგორ იგებენ ისლამს და რა ზრახვებით მოქმედებენ შემდეგში, — განაცხადა ფარეულიძემ.

ამასთან, მისი აზრით, რელიგიური განათლება საზოგადოებას უფრო დააახლოებს.

— ჩემი აზრით, მართლმადიდებელი თემისთვის პირიქით, უკეთესიც იქნება იმ მხრივ, რომ რელიგიური განათლება მხოლოდ დაახლოებს ხალხს. რელიგია ბოროტებასა და დაპირისპირებას არ ქადაგებს. რელიგიურად უფრო განათლებული ერი ნიშნავს უფრო განვითარებულ, სიკეთის და ურთიერთდაფასების მატარებელ ერს, — ამბობს ფარეულიძე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იდეა არათუ დროული, დაგვინებულიც კია, ახლა ჯერი სახელმწიფოზეა.

დიანა მუსელიანი

⊙ ინფორმაცია

ალეკო ელისაშვილი: ბესელიას სადაც ახსენებენ, წინ გათასხირებული წერია!..

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ბრალდებებთან დაკავშირებით, გუშინ პროკურატურაში საკრებულოს დეპუტატი ალეკო ელისაშვილი დაიბარეს. ელისაშვილმა დაკითხვაზე შესვლამდე ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა:

„ეკა ბესელია ყოველგვარი ბინძური ხერხებით ცდილობს, მე რაღაც ჩრდილი მომაყენოს. ციხეში გამოკეტილ ადამიანს, რომელიც აშკარად ვერაფერში ვერ ერკვევა, მას აწერინებ წერილს და იმ წერილს აფრიალებ, როგორც მტკიცებულებას, ეს არის ძალიან ცუდი მეთოდებით ბრძოლა. ათობით წერილი შემომდიოდა, რომ ბესელია კორუმპირებულია. საკრებულოშიც მომივიდა წერილი, ბესელიას სადაც ახსენებენ, წინ აუცილებლად გათასხირებული წერია, ამის გამოქვეყნება არ შეიძლება“, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ელისაშვილს შეწყალების გახმაურებულ საქმეებზეც დაკითხეს. როგორც ცნობილია ეკა ბესელია შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს შეწყალების სანაცვლოდ პატიმრისგან თანხის მოთხოვნაში ადანაშაულებს.

მაშველებმა ჭაში ჩავარდნილი კაცის გადარჩენა შეძლეს

ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე ჭაში ჩავარდნილი მამაკაცი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ცოცხალი ამოიყვანეს. სამაშველო ოპერაცია თითქმის ნახევარი საათი მიმდინარეობდა. თვითმხილველების ვარაუდით და ინფორმაციით, მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გუშინ ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი უნივერმაღის შენობაში, ჭაბურღილის თხრის დროს 11 - მეტრიან ჭაში მამაკაცი ჩავარდა.

ჯონ მაკკეინი: ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ ახლა ნაკლებად თუ ადარდებს ვინმეს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია

შეერთებული შტატების სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარის ჯონ მაკკეინის განცხადებით, მისი ნება რომ იყოს, საქართველოს ნატოში გაწევრების უფრო მკაფიო გზას შესთავაზებდა.

ამის შესახებ მაკკეინმა „Radio Voice of America"-სთან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ ინტერვიუს რეზიუმეს:

„საქართველო ნატოში გაწევრების მკაფიო გეგმას იმსახურებს", – აცხადებს ჯონ მაკკეინი. „ამერიკის ხმასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში მან შეერთებულ შტატებს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. სენატორმა ევროპაში მიგრანტების კრიზისზე, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებზე, ამ კონფლიქტებში რუსეთის დომინანტურ როლსა და მოსკოვის მიერ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ფაქტებზე ისაუბრა.

საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეულად მიმზიდველი ქვეყანაა მსოფლიოში, კეთილშობილი და შეუპოვარი ხალხით – თქვა მან – ამაყი ვიყავი, როდესაც მან საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობას მიაღწია. ახლა იქაური პოლიტიკური ვითარება მაღელვებს. ვიმედოვნებ, მომავალი არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩაივლის. ჩემი აზრით, ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ ახლა ნაკლებად თუ ადარდებს ვინმეს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია. ყოველთვის, როცა დასავლეთი ყურადღებას ასუსტებს, რუსეთი საზღვრის ხაზს სწევს. მიმაჩნია, რომ საქართველო იმსახურებს ნატოში გაწევრებას. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ქართველებს, ალიანსთან მიერთების უფრო მკაფიო გზას შევთავაზებდი. ამ პოლიტიკას, შესაძლოა, არ იზიარებდეს ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია, მაგრამ საქართველო და მისი ჯარი ავღანეთში გვერდში დაგვიდგა. ვიცი, რომ საქართველო თვითონაც ამაყობს ამ კონტრიბუციითა და მისი ჯარისკაცების სიმამაცით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ობამას ადმინისტრაცია პირად თუ ოფიციალურ საუბრებში საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის მხარდაჭერას უცხადებდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის თუ დემოკრატიზაციის პროცესებში.

როდესაც შეეხო მდგომარეობას უკრაინაში, ჯონ მაკკეინმა აღნიშნა: ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან ბარაკ ობამას ადმინისტრაცია თავს იკავებდა უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის გადაცემაზე იმ არგუმენტით, რომ ეს რუსეთის პროვოცირებას მოახდენდა. სხვა მოსაზრება აქვს სენატორ მაკკეინს – იგი არ იზიარებს ოფიციალურ პოზიციას, რომ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება ვითარებას გაართულებს.

ცნობისთვის: გაცვლილი ორი წლის განმავლობაში ობამას ადმინისტრაციამ უკრაინის დასახმარებლად 260 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო, მათ შორის



უკრაინის შეიარაღებული ძალების გასაწვრთნელად.

ჯონ მაკკეინი: შეერთებული შტატები არც ფიქრობს, რომ უკრაინას თავდაცვითი იარაღი საკუთარი ქვეყნის დასაცავად სჭირდება. ამით ჩვენ ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ფურცელს ვწერთ და არ ვეხმარებით უკრაინას იმ დროს, როცა ვლადიმერ პუტინის მოქმედებით აღმოსავლეთი უკრაინა გამოუსწორებელ შედეგებს იმკის. მე ორი წლის წინათ მაიდანზე ვიყავი. სამწუხაროდ, მას შემდეგ ქვეყანაში კორუფციის აღმოსაფხვრელად არავითარი სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა. არსებული ვითარება ადამიანების იმედგაცრუებას იწვევს. პირველად უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში, სახეზეა ევროპული სახელმწიფოს დანაწევრება.

სენატორი იმედოვნებს, რომ აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის პირობებში შეერთებული შტატები გააქტიურდება. მისი აზრით, ახალმა პრეზიდენტმა მეტი სიმტკიცე და პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს, განსაკუთრებით უკრაინაში, რადგან დღეს უკრაინელები ამერიკისაგან თავს მიტოვებულად გრძნობენ.

◎ მოულოდნელი რაკურსით

გაგიკვირდებათ და... ქალთა დასაქმების ყველაზე ცუდი მაჩვენებელი გერმანიასა და იაპონიას აქვთ!

ამ დღეებში მედიამ გაავრცელა ინფორმაცია ქალების დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევის შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რამდენად არიან წარმოდგენილი ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამ კვლევის მიხედვით, საქართველოში უფროს ხელმძღვანელ პოზიციაზე მომუშავე ქალების რიცხვი 29%-ია, მაშინ როცა კომპანიათა 26%-ს საერთოდ არ ჰყავთ ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

იმის გასააზრებლად, თუ რამდენად ჯდება ეს მონაცემები საერთაშორისო ტენდენციებში, შესაძლებელია, გადავხედოთ კომპანია „გრანთ თორნთონის" მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევის შედეგებს. ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში ხელმძღვანელ პოზიციებზე მომუშავე ქალების პროცენტული მაჩვენებელი 22 %-დან 24 %-მდე გაიზარდა, თუმცა, კომპანიების მესამედს კვლავ არ ჰყავს ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე.

ამ მხრივ, მსოფლიოში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ დიდი შვიდეულის წევრ ქვეყნებს, სადაც წამყვანი თანამდებობები ქალების მხოლოდ 22 %-ს უკავია, ხოლო კომპანიათა 39 %-ს ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალები საერთოდ არ ჰყავთ. ორი ყველაზე ცუდი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა კი არის იაპონია – 7 %-ით და გერმანია – 5%-ით. ამავე დროს, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში აღირიცხება ხელმძღვანელ ქალთა უმაღლესი პროპორციული მაჩვენებლები – შესაბამისად, 35 % და 34 %. მხოლოდ ფირმების 16 %-სა და 21%-ს საერთოდ არ ჰყავთ ქალები უმაღლეს ხელმძღვანელ პოზიციებზე.

კომპანიის ბიზნესანგარიში (IBR) ასახავს 36 ქვეყნის 10 000-ზე მეტი კომპანიის შეხედულებებისა და მოლოდინების ადეკვატურ შეფასებას. მედია იუწყება, რომ ეს უნიკალური კვლევა მოიცავს უმეტეს ევროპულ მონაწილეთა მონაცემების 22-წლიან პერიოდს და ასევე მრავალი არაევროპული ქვეყნის 11-წლიან პერიოდს.

რაც შეეხება ქალების დასაქმების ზოგად მაჩვენებელს საქართველოში – ამის შესახებ წარმოდგენას ქმნის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რამდენიმე მონაცემი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ბიზნესსექტორის მიმოხილვის ფარგლებში გამოქვეყნდა:

2015 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ქვეყნის საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 584.5 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 40.4 პროცენტი ქალია. ამ რაოდენობიდან მსხვილ ბიზნესში ქალების 57 პროცენტია დასაქმებული, საშუალოში – 17, 4 პროცენტი, მცირე ბიზნესში კი – 25,5 პროცენტი. საშუალო თვიურმა ხელფასმა ბიზნესსექტორში შეადგინა 961.1 ლარი, მათ შორის, ქალების ხელფასმა – 1044.6 ლარი, რაც ნიშნავს, რომ ხელფასის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, ბიზნესსექტორის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ქალები ნაკლებად იჩაგრებიან, თუმცა, მათი რაოდენობა დასაქმებული მამაკაცების რაოდენობას ჩამორჩება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება"

დედამიწის ზურგზე

ანკარაში ტერორისტული აქტის შემდეგ თურქეთმა ქურთისტანის მუშათა პარტიას ერაყში ცეცხლი გაუხსნა

შეტევები განხორციელდა ამ პარტიის პოზიციებზე კანდილის რაიონში, სადაც ბაზა აქვს დაჯგუფების ხელმძღვანელობას. ადრე თურქეთის ხელისუფლებამ ეჭვი გამოთქვა ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრების მონაწილეობის შესახებ ანკარაში მოწყობილ ტერორისტულ აქტში 13 მარტს, რასაც რამდენიმე ათეული კაცის სიცოცხლე შეეწირა.

* * *

ბაგკოკში ბანკის შენობაში ქიმიური მონამვლის შედეგად 8 კაცი დაიღუპა

ინციდენტი მოხდა კვირას გვიან ღამით ერთ-ერთი უძველესი ბანკის შენობაში. ბანკის პრეს-სამსახურის ცნობით, შენობის სარდაფში მუშებმა დააზიანეს ქიმიური ცეცხლსაქრობი სისტემა.

* * *

ისტორიაში პირველი მისია მარსზე სიცოცხლის კვალის აღმოსაჩენად

რაკეტა „პროტონ-მ" წითელ პლანეტაზე გაუშვებს ორბიტალურ აპარატსა და სადემონსტრაციო სადესანტო მოდულს საერთაშორისო კვლევითი მისიისათვის. ადრე მარსის სადგურებს უსვამდნენ ამოცანებს წყლის საძებნელად, მაგრამ არც ერთი მისია ჯერ არ გაუგზავნიათ სიცოცხლის კვალის ძიების ამოცანით.

* * *

ბრაზილიაში მილიონობით პროტესტის მომხრემ პრეზიდენტ დილმა რუსეფის გადადგომა მოითხოვა

მთელ ქვეყანაში ქუჩებში 3,6 მილიონი კაცი გამოვიდა მოწოდებით სახელმწიფოს მეთაურისადმი – დატოვოს თავისი პოსტი. რუსეთს ბრალს სდებენ ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასა და საკორუფციო სკანდალში მონაწილეობისათვის. დემონსტრაციები გაიმართა ბრაზილიის 326 ქალაქში, აგრეთვე საზღვარგარეთ – ვაშინგტონში, ნიუ-იორკსა და ლისაბონში.

* * *

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მსოფლიო რეკორდი ხალხისგან შედგენილი დროშის სიდიდეში დაამყარეს

აბუდა-დაბში კვირას დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი. თითქმის 4 ათასი კაცი წითელ, მწვანე, თეთრ და შავ შლემებში შეიკრიბნენ სტადიონზე, რათა შეედგინათ ყველაზე დიდი „ცოცხალი" დროშა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალმა ახმედ ალ რეიზიმ, როდესაც ღონისძიების მონაწილეებს ულოცავდა, განაცხადა, რომ მიღებული დროშა „წარმოადგენს ერის ერთგულებისა და თავდადების ნიმუშს".

* * *

ჩინეთი ქმნის საერთაშორისო სასამართლო ცენტრს საზღვარ ტერიტორიულ დავების გადაწყვეტისათვის

ადრე ფილიპინებმა უკვე აღძრეს საქმე ჩინეთის წინააღმდეგ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში ტერიტორიების გამო სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში, მაგრამ პეკინმა უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობაზე. ამჟამად ჩინეთს 10 საშინაო-საზღვაო ხომალდი აქვს – ყველაზე მეტი ოდენობა მსოფლიოში.

* * *

მერკელის მოწინააღმდეგეები 3 ფედერალური მინის პარლამენტებში გავიდნენ

ახლა „ადგ" წარმოდგენილი იქნება 8 ფედერალურ მიწაზე 16-დან და ეს არსებითად გაართულებს ადგილობრივი მთავრობების ჩამოყალიბებას. მერკელის პარტია რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ქრისტიანმა დემოკრატებმა წინ გაუშვეს „მწვანეები" ბადენ-ვიულტენბერგში, რასაც ნამდვილ კატასტროფას უწოდებენ. მაგრამ განსაკუთრებით ცუდად აქვს საქმე გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას.

„ვემსახურები საქართველოს!“: ქალები ავღანეთში

„აქცენტი“ დაინტერესდა იმ ქალბატონების ცხოვრებითა და მოღვაწეობით, რომელთაც ჯერ კიდევ წლების წინათ დაიწყეს სტერეოტიპების მსხვრევა, აირჩიეს გაუკვალავი ბილიკი, გაჭრეს გზა, დღეს კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში წარმოადგენენ საქართველოს და სიამაყით ატარებენ მუნდირს.

„მუნდირის ტარება – ეს არის სიამაყის, პასუხისმგებლობის, სინდისის, მოვალეობის, ურთიერთგატანის, პატრიოტიზმის, სიძლიერის შეგრძნება“, – ასე განმარტავენ მუნდირის ტარების არსს სამხედრო მოსამსახურე ქალები...

საერთაშორისო მისიის ფარგლებში ავღანეთში დღეს 13 ქალბატონი იმყოფება, მათგან 7 – ეკატერინე გუჯაბიძე, ნინო ჯავახიძე, ნათია ჩხარტიშვილი, ლელა მაჭუტაძე, ხატია დადიანი, ნინო მწითური და რუსუდან ივანეიშვილი ქაბულში არიან დისლოცირებული. დღეს ეს არის მათი ოჯახი და როგორც თავადვე განმარტავენ, „მისიაში სხვანაირად შეუძლებელია“.

„ერთი ოჯახია, ერთმანეთის გვიხარია, გვწყინს, ერთმანეთის სიხარულით ვარსებობთ, ერთ საქმეს ვაკეთებთ, გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს და ზურგს ვუმაგრებთ. არ ვგულისხმობ მხოლოდ გოგონებს, მთლიანად მისიაზე ვსაუბრობ“, – ამბობს ნინო.

არ ფიქრობენ, რომ მამაკაც კოლეგებს რამით ჩამოუვარდებიან და შესაძლებლობების საკითხს არა გენდერულ ჭრილში, არამედ ინდივიდუალურად განიხილავენ.

ცხელ წერტილში ყოფნა არ არის ადვილი, მაგრამ განსხვავებულ კულტურასთან თანაცხოვრება არ უჭირთ.

„ცხელ წერტილში ყოფნა, უპირველესად, გააზრებაა იმისა, რომ ქვეყანას ემსახურები. სწორედ ეს გაძლევს სტიმულს. სხვაგვარად აქ ყოფნა იქნებოდა შიში, ყოველწამიერი და წუთიერი, რომ რაღაც მოხდება და მზეს ვეღარ ნახავ. რაც შეეხება უცხო კულტურებთან თანაცხოვრებას, არც რთულია და არც მარტივი. აქ მთავარია შენი დამოკიდებულება. ძალიან ბევრი შერეული კულტურაა. ბაზაზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან და შეხება გვაქვს თითოეულ მათგანთან. ვცდილობთ, ერთმანეთს გავუგოთ, ჩვენ ხომ ქვეყნის სახე ვართ! ორიენტირებულები ვართ მისიის პირნათლად შესრულებაზე. გააზრებული გვაქვს, რომ ჩვენი აქ ყოფნა ხელს უწყობს ქვეყნის უსაფრთხოებას, საერთაშორისო უსაფრთხოებას და, რაც მთავარია, აქ საქართველოს და შეიარაღებული ძალების სახეს წარმოვადგენთ. ასე, რომ, მორალური უფლებაც კი არ გვაქვს წუწუნის, მით უფრო შეცდომის“, – მიიჩნევს ნათია.

თითოეული მათგანის ისტორია განსხვავებულია, თუმცა, რწმენა აერთიანებთ. სწამთ, რომ სამშობლოს ინტერესებს ემსახურებიან, მსოფლიოს კი უდასტურებენ, რომ საქართველო არა აგრესიული, არამედ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა.

ნათიას კარიერა 2003 წლიდან დაიწყო. როგორც თავად განმარტავს, სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების და დიდი განსჯის შემდეგ გადაწყვიტა, ახლობლების კვალს გაჰყოლოდა და საკუთარი შესაძლებლობები ჯარისკაცების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და აღდგენის საქმეში გამოეყენებინა. დაიწყო ქუთაისის ჰოსპიტალში მუშაობა, რომელიც ექვემდებარებოდა მე-2 ქვეით ბრიგადას.

„ბევრი რამ გავიგე და ვისწავლე ჯარში. გატანა, მეგობრობა, ადამიანობა. რაც დრო გადის, მით უფრო მეტ პატივს ვცემ ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე მდგომ თითოეულ ჯარისკაცს“,– ამბობს ნათია.

ეკატერინეს ისტორიაც თითქმის იდენტურია. ამბობს, რომ ყოველთვის სურდა, თავად შეეგრძნო ჯარისკაცური ცხოვრების ხიბლი. 2005 წელს სურვილი აისრულა, მუშაობა ფოთის სამხედრო ჰოსპიტალში დაიწყო და მას შემდეგ სხვადასხვა პოზიციებს იკავებს. ამბობს, რომ რთულ რიტმს დედობაში არ შეუშლია ხელი და ორ ვაჟს უკვე 8 წელია, მარტო ზრდის.

„გამომდის, ორმაგად ვემსახურები ქვეყანას, ვუზრდი ვაჟკაცებს და ვარ სამხედრო მოსამსახურე“,– ღიმილით ამბობს ეკატერინე.

მათ ომთან დაკავშირებული საკუთარი სევდიანი ისტორიებიც აქვთ: **„2008 წლის 9 აგვისტო, დღის განმავლობაში ოთხჯერ გამოცხადდა საჰაერო ევაკუაცია, ოთხჯერ მოგვიწია დაჭრილი, ნახევრადგონო მდგომარეობაში მყოფი ჯარისკაცების საკაცეებით გადაყვანა და პირველადი დახმარების გაწევა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები საშინელ, გაუსაძლის მდგომარეობაში იყვნენ, გვეხვეწებოდნენ, „გოგოებო, ჩვენ ალბათ, აღარაფერი გვეშველება და თქვენ თავებს მაინც მისედეთო“. ეს იყო საშინელი სურათი. ერთი ახალდაქორწინებული ჯარისკაცი იყო მძიმედ დაჭრილი, სიცოცხლის შენარჩუნებას გვთხოვდა, გვთხოვდა დამარეკინეთ მეუღლესთანო... სასწაულებრივად მოვახერხეთ, დაგვერეკა მის მეუღლესთან... 10 წუთში გარდაიცვალა“,**– იხსენებს ეკა.

„2008 წლის 8 თუ 9 აგვისტოს იბომბებოდა სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის ბაზა. ვიყავით ბაზის დაცვაზე დატოვებულები. თითქოს ყველა პანიკაში უნდა ყოფილიყო. ვერ ვასწრებდით ყაზარმებიდან გამოსვლას, ამიტომ ვიყავით ბაზის ტერიტორიაზე. მორიგი დაბომბვის დროს ბიჭები, რომელთა უკან ოჯახები იდგნენ, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასიც კარგად იციან და ომის ფასიც, რომლებისთვისაც ჯარისკაცის სახელი უპირველესია, მე მიყვიროდნენ, დაწექიო და დაწოლილს გადამეფარნენ. საოცარი შეგრძნება იყო. ქართველობის, ვაჯკაცობის, ჯარისკაცობის, ერთ მუშტად შეკვრის, ერთმანეთის გატანის. მათთან ერთად მართლაც ჯოჯოხეთშიც ჩახვალ ადამიანი“.

ნინოს მეუღლეც სამხედრო მოსამსახურეა, სამ შვილს ზრდიან.

„მივიღე გადაწყვეტილება, მეც იქ ვყოფილიყავი, სადაც ჩემი მეუღლე იყო. მით უფრო, რომ ქვეყანას ვუზრდით სამ შვილს. და ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის დაცვა სწორედ რომ შვილების მომავლის შესაქმნელად ჩვენი, როგორც მშობლების ვალია“, – განუცხადა „აქცენტს“ ნინომ.

ლელა სანამ შეიარაღებული ძალების ოჯახს შეუერთდებოდა, კიკბოქსინგით დაინტერესდა, ბედი სამოქალაქო სამსახურშიც სცადა, თუმცა, მალევე გააცნობიერა, რომ ეს მისი მოწოდება არ იყო და გადაწყვიტა, ოცნებების ასასრულებლად ემოქმედა. დღეს კი საერთაშორისო მისიაში უკვე მეოთხედ იმყოფება.

„ჩემი ოცნება იყო ჯარი და ჯარისკაცის ცხოვრება. ვოცნებობდი, ვყოფილიყავი პროფესიონალი ჯარისკაცი, უნივერსალური ქალი – სნაიპერი. შეიძლება, ითქვას, რომ ჩემი ოცნება თითქმის ახდა. ყველა აღნიშნავდა, რომ კარანტინის დროს, საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლისას არაფრით ჩამოვუვარდებოდი მამაკაც კოლეგებს. მეამაყება, რომ ვარ ჯარისკაცი და ვარ საქართველოს შეიარაღებული ძალების წევრი. ვფიქრობ, რომ ჩემი გამოცდილება და ცოდნა ადგება ქვეყანას“,– ამბობს ლელა. ჯარისკაცური ცხოვრების ხიბლის დასტურად კი ომის პერიოდიდან ასეთ ეპიზოდს იხსენებს:

„ყველა თავის საქმეს დიდი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით აკეთებდა. თითქოს ერთ მუშტად იყო შეკრული მთელი ერი.... მე ყველაზე პატარა ვიყავი, ყველა ცდილობდა, შეემსუბუქებინა მდგომარეობა, ზოგი – ხუმრობით, ზოგი – ღიმილით. მაგრამ ომი ომია და თავისი მაინც მიაქვს... მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე ჯარში დარჩენა და სამხედრო სამსახურის გაგრძელება. მეამაყება, რომ ვარ ჯარისკაცი, რომ ომის დროს რეალურ დახმარებას ვუწევდი ჩვენს ჯარისკაცებს და რომ ამავე დროს, ვარ მანდილოსანი“.

რუსკას კარიერა ორი წლის წინათ დაიწყო და ამ შემთხვევაშიც მიზეზი ოცნებას უკავშირდება: **„ვვარჯიშობდი კიდეც, მამაც მავარჯიშებდა. იცოდნენ ჩემი ოცნებების ამბავი... მე-12 კლასში რომ ვიყავი, სამხედრო აკადემიიდან გაკეთდა პრეზენტაცია ჯარის პოპულარიზაციის მიზნით. მე ისე დამემართა, „ჩიტს რა უნდოდა და ხელის აქნევაო“ და დავამთავრე თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე სამხედრო სამსახურში მისვლა. გავიარე კარანტინი, ვიდექი ძლიერი სქესის წარმომადგენლების გვერდით, მათსავით გავდიოდი საწყის საბრძოლო მომზადებას. მეამაყება, რომ „მე ეს შევძელი“. ჩემთვის ეს პირველი მისიაა, მეამაყება, რომ აქ ვარ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დროშა გადმომცა მინისტრმა“.**

ამ გოგონათაგან ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილება ნინოს აქვს. გადაწყვეტილება, რომელიც დღესაც კი შეიძლება, თამამად შეფასდეს, წარმოუდგენლად რთულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სტერეოტიპებით (რომელსაც დღესაც არ ვუჩივით) სავსე პერიოდში მიიღო, თუმცა, ეს მისთვის დაბრკოლებად არ ქცეულა.

„ქალი-ჯარისკაცი თავიდან აღიქმებოდა, როგორც „ქალს რა უნდა ჯარში, ქალი უნდა იყოს სახლში!“. ერი განვითარდა და გადავიდა ცივილიზებული სამყაროს ფორმატში. – თუ ქალმა მოახერხა საკუთარი პოზიციების გამყარება, „მე“-ს დამტკიცება, – ქალისადმი დამოკიდებულება ნელ-ნელა შეიცვალა. მითი ქალის ჯარში გამოუსადეგრობის შესახებ ნელ-ნელა იმსხვრევა. უფრო იკვეთება ქალი-ლიდერის როლი. ამ ფაქტს საზოგადოება ნელ-ნელა იღებს და იაზრებს ამის აუცილებლობას“, – ამბობს ნინო.

მისი კარიერა 1997 წლიდან დაიწყო.

„უნივერსიტეტი დავამთავრე 1996-ში, ჩემი სკოლის და სტუდენტობის პერიოდი ოყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ქვეყნის აღზევების ხანა, როცა ეროვნულობის და პატრიოტიზმის გრძნობა ძალიან მწვავედ იდგა დღის წესრიგში. მდგომარეობამ, ოჯახმა აღმზარდა ქვეყნის სამსახურისთვის. დროდადრო ვაცნობიერებდით, რომ ყველაფერთან დაკავშირებული იყო ჯარისკაცის სახელი... ვკარგავდით ტერიტორიებს, გამოვიარეთ ძმათამკვლელი ომიც.... მინდოდა, ძალიან მინდოდა, ვყოფილიყავი ჯარისკაცი, რომელიც შეძლებდა, თუნდაც მცირედით შეეცვალა არსებული რეალობა, თუნდაც მინიმალური გაეკეთებინა ქვეყნისთვის..... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არც მიფიქრია რამე სხვა მიმართულებაზე, მინდოდა ჯარი და არ შევიცვლიდი აზრს. ოჯახიც მშვიდად შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას.... არც შუქი იყო, არც გათბობა, არც ხელფასები ... რთული წარმოსადგენია, მაგრამ ერთ გუნდად ვიყავით შეკრულები. ერთად გამოვიარეთ ურთულესი პერიოდი. ჯარს მე შემოვრჩი, დიდი ნაწილი გაიფანტა. დღემდე ვიხსენებთ იმ პერიოდს, უკვე იუმორით და ხალისით“, – ამბობს ნინო.

შორიდან ესალმებიან ქვეყანას, ენატრებათ ყველაფერი – ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები, დალოცვილი საქართველო, როგორც თავად უწოდებენ და ენატრებათ ქართული პურის სუნიც კი...

ღვთის წყალობით, მალე დაბრუნდებიან სამშობლოში და აძ გააგრძელებენ ჯარისკაცურ ცხოვრებას!

დიანა მუსელიანი,
ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“

ინფორმაცია

ქართველი სამხედროები დაჯილდოვეს

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ტაქტიკური დაჯგუფება „ბუფალოს“ შემადგენლობაში შემავალმა ჩეხმა სამხედროებმა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებს „გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და კოორდინირებული მუშაობისთვისძ მესამე ხარისხის მედლები გადასცეს.

დაჯილდოებულთა შორის აღმოჩნდნენ 22-ე ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მანუჩარ ბარბაქაძე და ბატალიონის სერჟანტი გურგენ ნარსია, ასევე ამერიკის არმიისა და საზღვაო ქვეითთა კორპუსის ოფიცრები და სერჟანტები.

◎ ჭიდაობა

წინ, საქართველო!

◎ რაგბი

უნვი ნადავლით — ბალტიისპირეთიდან

ლატვიის დედაქალაქ რიგაში დასრულდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ცხრა მედალი მოიხვეჭეს: „თავისუფლებმა“ 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 3 „ბრინჯაო“ მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო „კლასიკოსებს“ სამივე სინჯის თითო მედალი ერგოთ.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (61) ჩემპიონობაზე, იაკობ მაქარაშვილის (74), დავით მარსაგიშვილისა (86) და ელიზბარ ოდიკაძის (97) მესამე ადგილებზე უკვე ვწერდით. „თავისუფალთა“ ასპარეზობის ბოლო დღეს საქართველოს ნაკრებს ევროპული „ოქრო-ვერცხლი“ გენო პეტრიაშვილმა (მძიმე წონა) და დავით ტლაშაძემ (70) მოუტანეს. პეტრიაშვილმა პირველივე წრეში ყველაზე საშიში კონკურენტი, უძლეველის ტიტულის მქონე თურქი ფალავანი — მსოფლიოს ორგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ტაჰა აკგული დაამარცხა. ამ ნაადრევ ფინალში თავიდან თურქი დაწინაურდა — 6:0, 8:2. სენსაციას აღარავინ ელოდა, მაგრამ გორელმა მოჭიდავემ „აკგული ტახტიდან ჩამოაგდო“ (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის საიტმა თავისი ინფორმაცია სწორედ ასე დაასათაურა) — შეხვედრა ფრედ 8:8 დაასრულა, მაგრამ მოგება ჩვენებურს ხვდა, რადგან ბოლო ორი ქულა მან მოიპოვა. მეოთხედფინალში გენომ უნგრელი დანიელ ლიგეტი ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში უკრაინელთა ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ალენ ზასეევი დაჯაბნა, ხოლო გადამწყვეტ ორთაბრძოლაში პოლონელ რობერტ ბარანს 2.38 წუთში 11:0 მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ტლაშაძემ უფროსთა მნიშვნელოვან ტურნირზე პირველი მედალი დაიმსახურა. ჩემპიონატში იგი პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაება, რადგან სტარტზე ფინელი პეტერ იოჰანეს მარტიკაინენი არ გამოუცხადდა. შემდეგ „ჯვაროსანმა“ ბულგარელ ნიკოლაი გოჩევ კურცევსა და რუმინელ ადრიან იონუტ მოისეს მოუგო, მაგრამ ფინალი დაღესტნელ მაგომედმურად გაჯიევთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

„თავისუფლების“ შემდეგ სარბიელი ბერძნულ-რომაული სტილით მოასპარეზეებს დაეთმოთ. ქართველებმა ბალტიისპირეთიდან, როგორც აღვნიშნეთ, სამივე სინჯის თითო მედალი წამოიღეს. ჩემპიონი გახდა ზურაბ დათუნაშვილი (75). პირველ წრეში მან ფრანგი ევრიკ ნიკოგოსიანი დაჯაბნა, მერე მის გზას გაუყენა თურქი ემრაჰ სელიმ კუსი, სომეხი კარაპეტ ჩალიანი და აზერბაიჯანელი ელვინ მურსალიევი, ვისთანაც შარშან პირველ ევროთამაშებზე დამარცხდა, ხოლო ფინალში სერბ ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონ ვიქტორ ნემესთან შეხვედრა ფრედ (2:2) დაასრულა, მაგრამ ბოლო ორი ქულა ქართველმა აუღო მეტოქეს და პირველობაც მას ერგო.

85 კილოგრამ წონით კატეგორიაში რობერტ ქობლიაშვილმა ზედიზედ აჯობა სერბ პეტარ ბალოს, პოლონელ თადეუშ მიჰალიკს, რუს ევგენი სალეევს და მხოლოდ ფინალი დათმო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ უან ბელენიუკთან (უკრაინა).

შმაგი ბოლქვაძემ (66) უფროსებში ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი „ბრინჯაოთი“ აღნიშნა, რაც ურიგო შედეგი არ არის: ძირითად ბადეში შვედ ფრუნზე ჰარუთინიანსა და ხორვატ დანიელ იანჩიჩთან მიღწეული წარმატების შემდეგ იგი რუსთა ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ისლამბეკ ალბიევთან დამარცხდა, დამამშვიდებელში ფრანგ ჰრაჩია მალკასიანსა და ლატვიელ ნიკიტა მასიუკს მოუგო და მესამე ადგილზე გავიდა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შარშანდელი ჩავარდნილი სეზონის შემდეგ ევროპაზე მოპოვებული სამი მედლით „კლასიკოსებმა“ ქომაგთა წინაშე ერთგვარი რეაბილიტაცია შეძლეს. იმედია, ისინი სალიცენზიო ტურნირებზეც გაგვახარებენ.

ლაშა დიდია

მეთვრამეტე გაელვება ჩრდილოელ მეზობლებთან

რუსეთი-საქართველო 7:24

რუსეთი: ვასილი არტემიევი, მიხაილ ბაბაევი, იგორ გალინოვსკი, ვლადიმირ რუდენკო, დენის სიმპლიკევიჩი (რამილ გაისინი, 65), იური კუშნარიოვი, ალექსეი შჩერბანი (რუშან იაგუდინი, 65), სერგეი სეკისოვი (ალექსეი ვოლკოვი, 67), ნაზირ გასანოვი (შამილ მაგომედოვი, 79), ინოკენტი ზიკოვი (ევგენი პრონენკო, 48), ანდრეი გარბუზოვი (ევგენი ელგინი, 69), ანდრეი ვოსტრიკოვი, ვიქტორ გრესევი, ანდრეი ტემნოვი (დმიტრი კროტოვი, 53), ანტონ რუდოი.

საქართველო: მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი აფციაური (მურაზ გიორგაძე, 76), დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე (ლაშა მალაღურაძე, 65), სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე (ვასილ ლობჟანიძე, 69), კახა ასიეშვილი (ზურაბ ჟვანია, 55), შალვა მამუკაშვილი (ჯაბა ბრეგვაძე, 55), ანტონ ფეიქრიშვილი (გიორგი მელიქიძე, 62), გიორგი ჩხაიძე (კოტე მიქაუტაძე, 62), გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, საბა შუბითიძე (ბექა გორგაძე, 56), ლაშა ლომიძე.

მსაჯი: მეთიუ ქარლი (ინგლისი).

ევროპის ერთა თასის 2016 წლის გათამაშების მე-4 ტურში საქართველო და რუსეთი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩრდილოელმა მეზობლებმა „ბორჯღალოსნებს“ სოჭში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე უმასპინძლეს. 1993 წლიდან ეს ამ გუნდების მე-20 შეხვედრა იყო. წინა ცხრამეტიდან ქართველმა მორაგბეებმა 17-ჯერ მიაღწიეს წარმატებას, თითო ორთაბრძოლა დათმეს და ფრედ დაასრულეს (ჯამში 476:224), 2002 წლიდან კი რუსებს ზედიზედ 14-ჯერ ვაჯობეთ. გასულ შაბათს ჩვენი ბიჭები კვლავ მოგების წყურვილითა და შემართებით გავიდნენ მოედანზე. ანგარიში მე-14 წუთზე გაიხსნა — მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმა უნაკლოდ დაარტყა — 3:0. შვიდი წუთის შემდეგ თამაზ მჭედლიძის ლელოთი და კვირიკაშვილის ზუსტი გარდასახვით ანგარიში გახდა 10:0. საფინალო სასტვენამდე ჩვენგან ანტონ ფეიქრიშვილმა, გიორგი ნემსაძემ და რეალიზაციით კვირიკაშვილმა, მასპინძელთაგან კი რამილ გაისინმა და იური კუშნარიოვმა იყოჩაღეს. მატჩი ქართველებმა უპრემიოდ მოიგეს — 24:7, თუმცა, ლიდერობა შეინარჩუნეს. პაექრობის მიწურულს გულდაწყვეტილმა რუსმა კომენტატორმა თანამემამულეებს მოუწოდა, „უყურეთ რაგბის, შეიყვარეთ რაგბი, ოდესმე იქნებ მოვუგოთ საქართველოს“.

„ბორჯღალოსნები“ ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო ტურში 19 მარტს რუმინელებს უმასპინძლებენ.

IV ტური

რუმინეთი-გერმანია 61:7, ესპანეთი-პორტუგალია 39:7.

V ტური. 19 მარტი

საქართველო-რუმინეთი, პორტუგალია-რუსეთი, გერმანია-ესპანეთი.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
საქართველო	4	4	0	0	+150	19
რუმინეთი	4	4	0	0	+112	19
რუსეთი	4	2	0	2	-19	9
ესპანეთი	4	1	0	3	-4	7
გერმანია	4	1	0	3	-109	5
პორტუგალია	4	0	0	4	-106	1

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

შეტევაზეა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე თამარ ჩოგოვაძე

ასე იწრთობა ფოლადი

შეგვიძლია, ვიამაყოთ — გვეზრდება ბრწყინვალე თაობა, რომელსაც შესწევს უნარი არაერთხელ ასახელოს ხელბურთის პელედ მონათლული ჯემალ ცერცვაძის სამშობლო.

ალბათ, ზოგს გადაჭარბებულად მოეჩვენება ქართველ გოგონათა ასეთი შეფასება, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ — გიორგი გვაზავას გუნდმა ჩინებული თამაშითა და, უპირველესად, ბრძოლისუნარიანობით დაგვამახსოვრა თავი თბილისის ახალ სპორტის სასახლეში დასრულებულ მსოფლიოსა და ევროპის ხელბურთის ფედერაციების ქალთა თასის გათამაშებაში, რომლის გამარჯვებულიც გაისად ინტერკონტინენტალურ თასზე იასპარეზებს.

დიახ, ჩვენებურებმა სწორედ უტეხი სულის გამოვლენით სძლიეს ნახევარფინალში ბელგიას — 18:14, არადა, ტაიმნახევრის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს და გადამწყვეტი მატჩი ფავორიტად მიჩნეულ ფარერის კუნძულელებთან 14:28 დათმეს.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლები შესვენებამდე ღირსეულად გამოიყურებოდნენ, ვენეკაიას გოლით ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შესვენების წინ 6:9-ზე გუნდის ლიდერი კუნელაშვილი დაშავდა, მრისხანე მეტოქემ მნიშვნელოვანი ფორა მიიღო და პრობლემები აღარ შექმნია.

ცნობისათვის: დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ერთბაშად სამი „ჯვაროსანი“ ტრავმირებული გამოცხადდა, ხოლო ზემონახსენები კუნელაშვილი ამ დროს ლაზარეთში გახლდათ წაყვანილი.

მოკლედ, ასე იწრთობა ფოლადი!

გიორგი შოთაძე

◎ არჩევანი

ვაისის აისი

ვლადიმერ ვაისი ის კაცია (დიახ, კაცი!), ვინც კოლეგათა ნამოღვაწარი დააფასა და თბილად მოიხსენია წინამორბედები, განსაკუთრებით — კახი ცხადაძე. დაგვეთანხმებით, ასეთი პიროვნული ღირსებით ერთეულები გამოირჩევიან.

რაც შეეხება სლოვაკი მწვრთნელის პროფესიულ მიღწევებს, მან ჯერ საკლუბო დონეზე ისახელა თავი, როცა 2005-2006 წლების სეზონში მშობლიური, ბევრისათვის უცნობი „არტმედია“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გაიყვანა, ხოლო შემდეგ უკვე თანამემამულე გულშემატკივრები გაახარა ეროვნული ნაკრების სათავეში ყოფნისას „მუნდიალ-2010“-ის ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვებით. მეტიც — სამხრეთაფრიკულ ფორუმზე სლოვაკებმა მაშინდელ მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ იტალიას სძლიეს და ჯგუფში ჩატოვეს.

აი, ასეთ ადამიანსა და სპეციალისტზე გააკეთა არჩევანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ და გუშინდელ პრესკონფერენციაზე წარადგინა კიდეც, როგორც ჩვენი ქვეყნის უმთავრესი გუნდის ახალი დამრიგებელი.

როგორც შევიტყვეთ, აწ უკვე ალმათის „კაირატის“ აწ უკვე ყოფილ თავკაცს ანალოგიური წინადადებით ყაზახებმაც მიმართეს, მაგრამ მათთან გაჭიანურებული მოლაპარაკებების გამო უპირატესობა უშუალოდ სფფ-ის გენერალური მდივნის დავით მუჯირის მიერ შეთავაზებულ წინადადებას მიანიჭა. ეს ფაქტი კარგად მეტყველებს, რომ ამ რამდენიმე უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული) მცოდნე პროფესიონალისთვის ფული ყველაფერს არ ნიშნავს — სავარაუდოა, რომ აზიელები გაცილებით უფრო მაცდუნებელი საკონტრაქტო თანხის დასახელებით ეცდებოდნენ საწადელის მიღწევას, ვიდრე ჩვენთან დანერგილი ბონუს-სისტემა ითვალისწინებს.

და ბოლოს: საქართველოს ნაკრების ბოლო 10 თამაშის ჩანაწერი ვნახე, რამაც დამარწმუნა, რომ წინსვლისთვის სოლიდური პოტენციალი გვაქვსო — ესეც გუშინ განაცხადა ვლადიმერ ვაისმა. დასტურ!

გია პლატონიშვილი

◎ კალათბურთი

ძველი „ვითას“ ნაკვალევზე

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ გენერალური სპონსორია „გაზპრომი“, წლიური ბიუჯეტი — 60 მილიონი ევრო, ხოლო თბილისის „ვითასი“ —...

დიახ, ამ მხრივ სტუმარ-მასპინძელთა ძალები მართლაც უთანაბროა, მაგრამ არსებობს სხვა ფასეულობებიც, მაგალითად, თავმოყვარეობა, რაც ხანდახან შეუძლებელს შეგაძლებინებს, ან — თითქმის შეუძლებელს.

„ვითა“ — „ზენიტი“ 84:90

წივწივაძის ძალისხმევით ჯერ 2:0 დავწინაურდით, შემდეგ — 4:3. ეს იყო და ეს.

სამაგიეროდ, მრისხანე მეტოქეს მთელი შეხვედრის განმავლობაში ქულა-ქულაში ვებრძოდით და უკანასკნელ წუთამდე ვანერვიულეთ.

მეტიც — ანიკიენკომ, ჩლაიძემ, ჯონსმა, რევაზაშვილმა და ობრამორმა მთელ რიგ ეპიზოდებში ქარს გაატანეს პარტნიორთა კიდევ ერთხელ წინ გაყვანის ჩინებული შანსი, რაც ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოგვანიჭებდა.

რა თქმა უნდა, ვთბ გაერთიანებულ ლიგაში ზედიზედ 23-ე მარცხი მტკივნეულია, მაგრამ ბიჭებისთვის სასაყვედუროდ ენა არ მოგიბრუნდება კაცს — თითქმის ყველასგან მიტოვებულმა გუნდმა ის თამაში გაგვახსენა, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში „ვითას“ ზედიზედ 7-ჯერ მოუტანა დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ჩემპიონობა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თბილი ზამთარი და დაზარალებული ბიზნესი

თოვლიანი კურორტებიდან უცხოელები აორთქლდნენ

საძართველოს თოვლიანი კურორტებიდან ჯერ ადგილობრივები გაიკრიფნენ, წელს კი უცხოელების ნაკლებობაც თვალშისაცემი იყო. ამის მთავარი მიზეზი რეგიონში არსებული სავალუტო კრიზისი და მაღალი ფასებია. სეზონის ბოლოს სასტუმროს მფლობელები უკმაყოფილებას არ მალავენ.

სასტუმრო „ედელვეისის“ მეპატრონე ნანა ხუციშვილი პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას და არ მალავს, რომ წელს ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდათ:

„ვერ ვიტყვი, რომ წელს ხალხი მაღალი ფასის გამო არ გვყოლია: 45 ლარს ვაფასებთ ერთ ნომერს დღეში სამჯერადი კვებით, ეს საკმაოდ კარგი ფასია, მაგრამ დამსვენებლები მაინც პასიურობენ. მთავარი მიზეზი ის არის, რომ თბილი ზამთარი გვქონდა და თოვლი არ იყო. ხელოვნური გათოვლიანება მხოლოდ დიდველზე, სასრიალო ტრასებზეა და ტურისტებიც იქვე, ახლომახლო დაბინავებას ამჯობინებენ.

წელს უცხოელი სტუმრები საერთოდ არ მყოლია. ქართველები კი, შობა-ახალი წლის დღეებში იყვნენ მხოლოდ 10-12 დღით. თუმცა ყველაფერს მარტო უთოვლო ზამთარს ვერ დავაბრალებ. ძალიან ბევრმა, ვინც აქ ადრე დასასვენებლად ჩამოდიოდა, საკუთარი ბინა შეიძინა ახალაშენებულ კორპუსებში. ახლა ჩამოდიან და საკუთარ ბინაში ჩერდებიან, როდესაც აქ არ არიან — აქირავებენ.

გადასახადებს ვიხდით, რამდენიმე სტუმარიც რომ გვყავდეს, გათბობა მთელ შენობაში ჩართული გვაქვს და ჩვენი მწირი შემოსავალი ამხელა ხარჯს ვერ ფარავს. ერთი სიტყვით, თამამად ვიტყოდი, რომ წელს ძალიან ცუდი სეზონი გვქონდა“, — აღნიშნა ნანა ხუციშვილმა.

მარიკა ჯიქია სასტუმრო „ვერე პალასი ბაკურიანის“ მენეჯერია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ოთხვარსკვლავიანი სასტუმროა, წლევანდელი სეზონი მათთვის სასურველი ნამდვილად არ ყოფილა:

„15 იანვრიდან ხალხის ნაკადი ძალიან შემცირდა და ძირითადად, შაბათ-კვირას ვმუშაობდით. ჩემი აზრით, თბილი ზამთარი და დოლარის გაძვირება იყო მიზეზი, რომ წელს ტურისტები მეზობელი ქვეყნებიდანაც არ ჩამოვიდნენ. ძირითადად ადგილობრივი, ქართველი დამსვენებლების იმედზე დავრჩით. ადრე ახალი წლის დღეებში სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტების სიმრავლე იყო, წელს კი ისინიც არ ჩამოვიდნენ“, — აღნიშნა „ბიპიენთან“ საუბრისას მარიკა ჯიქიამ და დასძინა, რომ შარშანდელი სეზონი გაცილებით უკეთესი გამოდგა, რადგან უფრო ხანგრძლივი ზამთარი იყო.

როგორც ჩანს, ტურისტებისათვის თანდათან მნიშვნელოვანი გახდა კურორტების სიაფე და დასვენების ღირებულება. საინტერესოა რა ღირს საქართველოს ზამთრის კურორტებზე დასვენება?

ბაკურიანსა და გუდაურს შორის რადიკალური სხვაობა ფასებში არ არის. ერთდღიანი დასვენება, საშუალოდ, 30-დან 350 ლარამდე ღირს, თუმცა ბაკურიანში უფრო მეტი საოჯახო ტიპის სასტუმროა, სადაც ნომრის დაქირავება დღეში, სერვისის შესაბამისად, 20-დან 250 ლარამდე მერყეობს. ბაკურიანის კოტეჯებში ფასი ახალი წლის დღეებში მატულობს და ერთი ღამე 280 დოლარია, სხვა დღეები კი 220 დოლარი. არასადღესასწაულო დღეებში კოტეჯების 1 დღის ღირებულება კვების გარეშე 40 ლარიდან იწყება. ორჯერადი კვებით კი — 70-80 ლარი.

რაც შეეხება გუდაურს, ფასი 30 ლარიდან იწყება და 120 ლარს აღწევს. მსურველებს მთლიანი კოტეჯის დაქირავებაც შეუძლიათ, რომელიც 15 ადამიანზეა გათვლილი და 10-დღიანი მომსახურება 500-დან 750 ლარამდეა. ჰოსტელში ოთახის დაქირავება მხოლოდ 15-20 ლარი ჯდება.

ვისაც ზამთრის კურორტებზე დასვენება სამ ან ოთხ ვარსკვლავიან სასტუმროში ურჩევნია, ერთი ღამე 350 ლარი ღირს.

რაც შეეხება სათხილამურო ინვენტარს — თხილამურის ქირაობა 18-დან 40 ლარამდე ღირს. საბაგირო მომსახურებისთვის გუდაურში ერთჯერადი ბილეთის ფასი 4 ლარია, ხოლო ერთი დღის სააბონემენტო ბარათი 28 ლარი ღირს. ბაკურიანში კი ფასი 50 თეთრიდან 3 ლარამდე მერყეობს. დღიური აბონემენტი კი — 30 ლარი ღირს.

როგორც ჩანს, თეთრი ტურიზმის მოყვარულებს დასასვენებლად საკმაო თანხის მობილიზება უწევთ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბოლოდროინდელი სავალუტო კრიზისის პირობებში ყველანი ხარჯების შეზღუდვაზე არიან გადასული.

— უნდა ვაღიაროთ, რომ წლევანდელ სეზონზე სერიოზული პრობლემები გვქონდა. გუდაურში გაიზარდა საცხოვრებელი კორპუსების და გამქირავებლების რაოდენობა, სასტუმროები მათ კონკურენციას ვეღარ ვუწევთ. ტურისტების ძირითადი მასა ამ კორპუსებში მიდის. ჩვენთან სტუმრები უფრო რუსეთიდან ჩამოდიოდნენ, ახლა იქ კრიზისია, თანაც რუსებმა და უკრაინელებმა კურორტზე ბინები შეიძინეს და იაფად აქირავებენ, დასასვენებლად კი მაშინ ჩამოდიან, როცა სურთ და საკუთარ ბინაში ისვენებენ. ასე იქცევა ბევრი ქართველიც. მათ უფრო დაბალი ფასები აქვთ, რადგან გადასახადებს არ იხდიან, ამიტომ ჩამოსული სტუმრების უმეტესობა ამ კორპუსებს ეტანება, — აღნიშნა გუდაურში მდებარე სასტუმრო „თრუსოს“ მფლობელმა ლევან კარიჭაშვილმა.

ბექა დანელია

◎ სულიერება

აღდგომის მარხვა დაიწყო

დიდმარხვა აღდგომიდან 7 კვირით ადრე იწყება და სხვა მარხვებთან შედარებით განსაკუთრებით მძიმეა.

მარხვა 1 მაისს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულით დასრულდება.

თევზით ხსნილია მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულები. დიდმარხვის პირველი ოთხი დღის განმავლობაში ანდრია კრეტელის სინანულის კანონი იკითხება.

დიდი მარხვის დროს ორი უდიდესი დღესასწაული — ხარება და ბზობა აღინიშნება.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდი მარხვის პერიოდში, ორმოცი დღის განმავლობაში მიცვალებულებს იხსენიებს.

გარდა ამისა, ყოველდღიურად, პარასკევს საღამოდან კვირა დილის ჩათვლით პერიოდის გარდა, წმინდა ეფრემ ასურის ლოცვა იკითხება.

◎ კარგი ამბავი

სანატორიუმი „ცისკარი“ 160 000 ლარად გაიყიდა

საძართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ ქალაქ წყალტუბოში მდებარე კიდევ ერთი ყოფილი სანატორიუმი „ცისკარი“ ელექტრონულ აუქციონზე 160 000 ლარად გაყიდა. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად შპს „არგო“ გამოვლინდა.

აუქციონის პირობების მიხედვით, ინვესტორმა სულ მცირე 5 000 000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელოს, რაც მოიცავს უძრავ ქონებაზე 50-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა-რეკონსტრუქციას, აღჭურვას და სასტუმროს ეზოს კეთილმოწყობას. სასტუმროს ტერიტორიაზე ასევე არანაკლებ 20 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი მოეწყობა.

სანატორიუმი „ცისკარი“ რიგით მესამე ობიექტია, რომელიც სახელმწიფომ წყალტუბოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაყიდა. შეგახსენებთ, რომ სანატორიუმი „მეშახტის“ ბაზაზე, არანაკლებ 100-ნომრიანი, 5-ვარსკვლავიანი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო განთავსდება, ხოლო ყოფილი სანატორიუმი „ივერიის“ ტერიტორიაზე ინვესტორები 6 000 000 ევროს ინვესტიციას განახორციელებენ. შედეგად, კურორტი წყალტუბო 100-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს და არანაკლებ 310 სასტუმრო ნომერს მიიღებს.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ სამცხე-ჯავახეთის მხარე

თუ ტურისტთა მოზიდვა გვსურს, მეტი რეკლამაა საჭირო!

სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალი მრავალფეროვანია. რესურსით მდიდარ კუთხეს ტურისტის დაინტერესება ეთნო, აგრო, კულტურული, სამთო-სათხილამურო თუ ეკოტურიზმით შეუძლია, თუმცა სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ვიზიტიორთა მოსაზიდად საჭიროა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა — უსაფრთხო გადაადგილებისთვის გზები, სველი წერტილები, დასახლებულ პუნქტებსა და ცენტრალურ ქუჩებზე დამონტაჟდეს სხვადასხვა ობიექტის შესახებ მანიშნებლები, გაკეთდეს მეტი რეკლამა, რათა ამას უცხოეთისგან მეტი დაინტერესება მოჰყვეს, — განმარტავს ახალციხის საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი ნუგზარ თათეშვილი.



ახალი მიმართულება, რომელიც ტურიზმს რეგიონით დააინტერესებს, მესხური ტერასებია. მეღვინე გიორგი ნათენაძე მის აღდგენასა და პირვანდელი იერსახის დაბრუნებას გეგმავს. ამბობს, რომ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებით უკვე დაინტერესდნენ როგორც უცხოელი გამვლელები, ასევე ადგილობრივები. შესაბამისად, გიორგი ნათენაძე მიიჩნევს, რომ რეგიონში ტურიზმის განვითარების პროცესში მოსახლეობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მათ თავად უნდა შეძლონ შემოსული დამთვალიერებლისთვის სასურველი სერვისის შეთავაზება — ტრადიციული კერძების, საოჯახო სასტუმროებისა და სხვადასხვა საჭიროებების კუთხით.

ტურიზმის განვითარებისთვის სამცხე-ჯავახეთში ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. მხარის გუბერნატორი ამბობს, რომ პროცესში მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის წილი. მისგან გამოყოფილი 35 მილიონი დოლარის ფარგლებში, აბასთუმანში, ბორჯომსა და ასპინძაში სხვადასხვა სამუშაოებია დაგეგმილი. აკაკი მაჭუტაძე ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ რამდენიმე წელიწადში კულტურულ ობიექტებამდე მისასვლელი გზები მოწესრიგდება და ტურისტს გადაადგილების პრობლემა არ შეექმნება. საკითხი, რომელიც ამ ეტაპზე არ გადაწყდება, გზებზე სველი წერტილების დამონტაჟებაა.

ტურიზმის განვითარება ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია. დოკუმენტის მიხედვით, ხელმომწერი მხარე ვალდებულია ქვეყანაში გააუმჯობესოს მომსახურების სფერო, მოაწესრიგოს ტურისტული ზონები, ინფრასტრუქტურა. დასავლურ სტანდარტებთან დასაახლოებლად აუცილებელია ქვეყანამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

მაია იველაშვილი

◎ ცვლილება

ნატანები 2 ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

საჯარო განხილვა ჩატარდება 2016 წლის 27 აპრილს 14 საათზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1).

შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანების“ ადმინისტრაცია

გილოცავთ და გვეიმედებით!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** მიესალმება და გულთბილად ულოცავს საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, თავისი ქვეყნისა და ერის გულანთებულ პატრიოტს, ბატონ **გოჩა ზეიკიძეს** მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნას.

ბატონი **გოჩა** აქტიურად მონაწილეობს ფონდის მიერ განხორციელებულ ეროვნულ პროექტებში. არის მისი მხარდამჭერი და ბრწყინვალე შემფასებელი.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ბატონი **გოჩა ზეიკიძე** თავისი პროფესიონალიზმით, დიდი გამოცდილებითა და საზოგადოებაში მოპოვებული ავტორიტეტით უთუოდ გაამართლებს საქართველოს მთავრობისა და პირადად პრემიერ-მინისტრის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის მაღალ ნდობას და მთელი მონდომებით იღვაწებს თავისი მხარისა და საქართველოს კეთილდღეობისთვის.

ღრმა პატივისცემით,
ბონდო კობაძე

ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.

◎ სათრეველა

დემაგოგებს!

ტაო, ტაო, ჩემო ტაო.
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო!
„სამხრეთის საზღვარი“. „ტაო“ – ბრ. აბაშიძე

ჭორმა ჭორიკანებს ხელი დაუქნია:
– მოდით, თავად ნახეთ, თოფაძეს რა უქნია!
უთქვამს: „გავიხსენოთ კლარჯეთი და ტაო.
მხოლოდ რუსეთს რად თვლით ოკუპანტადო?!“

* * *

ენა ფიანდაზად რატომ გაუგიათ?
ტაოს შეხსენება განა აუგია?
დროა, გამოვფხიზლდეთ, ჩემო ძმავ და დაო!
ვისზე ნაკლებია კლარჯეთი და ტაო?

* * *

შენ კი, სიმართლე სთქვი ოღონდ, ჩვენო გოგი,
და ჯანდაბას იქით ყველა დემაგოგი!

ალექსანდრე შენგელია

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ადამიანური განვითარების ინდექსი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ „ჰუმან დეველოპმენტ რიპორტში“ გამოქვეყნებულ მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 2015 წლის „ადამიანური განვითარების რეიტინგში“ საქართველომ, მსოფლიოს 188 ქვეყანას შორის, 0, 754 ქულით 76-ე ადგილზე დაიკავა, რაც განვითარების მაღალ დონეს შეესაბამება.

„ადამიანური განვითარების რეიტინგი“ ადამიანური პოტენციალის ძირითადი კრიტერიუმების ყოველწლიური მაჩვენებლების საფუძველზე გამოიანგარიშება. მისი გამოთვლისას სამი სახეობის მაჩვენებელს ითვალისწინებენ. ესენია, კერძოდ, **სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა; ქვეყნის მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნის დონე (სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო ოდენობა); ამერიკულ დოლარებში გამოსახული ცხოვრების დონე, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის ოდენობით მსყიდველობითი უნარის მიხედვით ფასდება.**

გაეროს ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში ბავშვის დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა **74, 9 წელს** შეადგენს; სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო მაჩვენებელია **13,8 წელი**, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე **7164 დოლარია.**

რეიტინგში პირველ ადგილზეა **ნორვეგია** (0,944 ქულა), მეორეზე – **ავსტრალია** (0,935 ქულა), მესამეზე – **შვეიცარია** (0,93 ქულა).

ჩვენს უახლოეს სამეზობლო ქვეყნებში ყველაზე მაღალი – 50-ე ადგილი უჭირავს **რუსეთს** (0, 798 ქულა). მერე მოდიან **თურქეთი** (72-ე ადგილი), **აზერბაიჯანი** (78-ე ადგილი), **უკრაინა** (81-ე ადგილი) და **სომხეთი** (85-ე ადგილი).

სამ ბოლო ადგილზე კი არიან **ერიტრეა** (186-ე ადგილი), **ცენტრალურ-აფრიკული** რესპუბლიკა (187-ე ადგილი) და **ნიგერია** (188-ე ადგილი), რომელთა ინდექსებია შესაბამისად, 0, 391, 0,35 და 0,348.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ემოციების „დენი“

სასექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის დასკვნით, ადამიანის ემოციების გადაცემა... ჰაერით შეიძლება.

მათი განცხადებით, რამდენიმე წელიწადში გაჩნდება მოწყობილობები, რომელთა მეშვეობით ხელის კანის სხვადასხვა უბნის სტიმულირება და ამ გზით სხვადასხვა გრძნობის – სიხარულის, შიშის, მღელვარებისა და ა.შ. – გადაცემა იქნება შესაძლებელი. ვთქვათ, თუკი ცერა და საჩვენებელი თითების, ასევე ხელისგულის მიდამოში ნიავის სუსტი ნაკადის მიმართვით აღგზნების მიღწევა შეიძლება, სევდიანი განწყობის შესაქმნელად კი საჭიროა ხელის ზედა ნაწილისა და წელის ზონის ზომიერი სტიმულირება.

ძეობა და... ჭარბი წონა

პეკინის უნივერსიტეტის მეცნიერების განცხადებით, მამაკაცის ჭარბი წონა ვაჟიშვილის შეძენის ალბათობას ზრდის.

მკვლევარებმა 8,5 ათასი წყვილი გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ მსუქან მამაკაცებს ვაჟიშვილები ქალიშვილებზე 27 პროცენტით მეტი ჰყავთ. ნორმალური წონის მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 7 პროცენტია.

ამ გზით ბუნება მამაკაცებში სიკვდილიანობის მაღალი დონის კომპენსირებას ახდენს.

გიჟი ნუ ხარ, ძვირფასო!

მეცნიერება სენსაციური ცნობა გამოაქვეყნეს: თურმე, ნერვულ ქალებს... ცუდი სუნი ასდით.

მათი განცხადებით, სტრესის შემდეგ ქალებში შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები აქტიურდება, რასაც არასასიამოვნო სუნი სდევს, სისხლში კი კორტიზოლის შემცველობა იზრდება, რომელიც ჩასახვის უნარს ამცირებს.

მამაკაცები ამ სუნებს კი გრძნობენ (თუმცა მას ვერ აღიქვამენ!), ამიტომაც ასეთ ქალბატონებს ერიდებიან (!)

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ბებია აღტაცებული ათვალიერებს თავისი შვილიშვილის ნატაშას საცურაო კოსტიუმს.

– ეჰ, შვილო, ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი კოსტიუმის ჩაცმის საშუალება რომ მქონოდა, იცი, რა მაგარი ბაბუა გეყოლებოდა?..

* * *

– გადავჭარე მთელი ხარახურა. უფრო თავისუფლად ვიგრძენი თავი. მერე გადავყარე ყველაფერი, რაც ცხოვრებაში მიშლიდა ხელს.

– მერე ცოლმა რა თქვა?

– რაღაცებს ყვიროდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ნაგვის კონტეინერში ჩავაგდე.

* * *

– რას აკეთებ სამსახურში?

– ხალხი გამომყავს.

– ისინი რას ამბობენ?

– ყვირიან.

– ცხვირ-პირი არ დაგინაყეს?

– ჯერ არა. პატარები არიან. მე სამშობიარო სახლის მეანი ვარ.

* * *

– წავიდეთ ხვალ სათევზაოდ?

– არა.

– რატომ?

– ცოლმა სახლში სმის ნება დამრთო.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!